



საკონლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

გაზეთის ფასი: ერთი წლით გაუგზავ. 7 მან., გაგზავნით 8 მან. ნახევარი წლით გაუგზ. 3 მან. 50 კაპ., გაგზ. 4 მან. სამი თვით გაუგზ. 2 მან., გაგზ. 2 მან. 50 კაპ., თითო ნომერი სამ შაურათ.

ხელის-მოწერა მაილება: თფლისში „წერა კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая, д. зем. банка № 101) და თვით „ქვალის“ რედაქციაში არტილერის ქუჩა, № 5. ფოსტის აღრესი: Тифлисъ. Редакция „Квали“.

შინაარსი: შავი-ქვის მრეწველთა კრება ნ. ჟორდანიასი.—სხვა-და-სხვა ამბები.—„ქვალი“-ს კორესპონდენციები.—პოლიტიკური მიმოხილვა.—ცოტა რამ გურიის ცხოვრებიდან სარდიონ მამალაძისა.—საპარლამენტო არჩევნები ინგლისში ი. კაკაბაძისა.—ქუჩის მგველი ნატოსი.—სადაღეშკელიანო სვანეთის ამბები მეხა ფარელისა.—წერილები რედაქციის მიმართ.—საქველ-მოქმედო საქმე.—„ქვალის“ ფოსტა.—შეცდომის გასწორება და განცხადებები.

შავი-ქვის მრეწველთა კრება.

II

კრების მოღვაწეობა.

როგორც პირველ წერილში დავინახეთ, საბჭოს ოთხი წლის მოღვაწეობა უმთავრესათ მთავრობასთან თხოვნების წერაში და შუამდგომლობის აღძვრაში გამოიხატა; დავინახეთ აგრეთვე ისიც, თუ სამართლიანი შუამდგომლობა როგორ უსაბუთოთ წარმოებდა უმაღლესი მთავრობის წინაშე, რის გამო ის დაუკმაყოფილებელი რჩებოდა. თავის თავათ ცხადია, რომ საქმის ასეთი მდგომარეობა უკმაყოფილებას დაბადებდა მრეწველთა შორის და ეს უკმაყოფილებაც კრებაზე უნდა გამოთქმულიყო. მეორე მხრით, უკანასკნელი ოთხი წელიწადი არის ხანა შავი-ქვის ფასების დაწვეისა მსოფლიო ბაზარზე. რამდენათ ფასი იქ ეცემოდა, იმდენათ აქ ექსპორტერები (გამტანნი), მანდის ფასს უკლებდნენ, მაშასადამე

მრეწველნი, განსაკუთრებით წვრილნი, იძულებული ხდებოდნენ ამ დაწვეას გაყოლოდნენ და თავისი საქონელი თანდათან იაფათ გაეყიდათ. ამით ისინი გაზდნენ საწველ ფურათ იმათთვის, ვისაც ჰქონდა კრედიტი და უცხო ბაზართანაც კავშირი. ამ სახით, ჭიათურის წარმოება ხელში ჩაიგდეს შეძლებულ მრეწველებმა და ტვირთათ დააწვენ დანარჩენთ. წვრილი მწარმოებლისათვის საჭირო იყო კრედიტი, რომ შეძლებოდა მოცდა მანამდის, სანამ ის ხელსაყრელათ დაინახავდა საქონლის გაყიდვას; საჭირო იყო ქვის საწყობი ადგილები (პლატფორმები) რკინის გზასთან ახლოს, რომ შესაძლებელი გამხდარიყო გასაყიდი მანდის გაჩერება იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც პატრონი მოისურვებდა; საჭირო იყო უცხოეთის ბაზართან დაახლოვება, რომ შუა-კაცები თავიდან მოეშორებია; საჭირო იყო მის ახლოს თვითონ საბჭო, რომ გაჭირვების დროს მისთვის მიემართა და საჭირო ცნობები და დახმარება უსასყიდლოთ მიეღო. ყველა ამით ის სამრეწველო ტიპილებს შეიმსუბუქებდა და გამაგრდებოდა. და

აი, არც ერთი ეს მას არ დაურჩა. კრედიტი არა, პლატფორმები ცოტა, უცხოეთის ბაზარი გარეშეთა ხელში, საბჭო ქუთაისში, ხოლო მისი თავმჯდომარე პეტერბურგში—აი რა მდგომარეობაში ჩაყვინდნენ მრეწველთა დიდი უმრავლესობა და რაღა გასაკვირველია მასში დიდი უკმაყოფილება აღორძინებულყო და ამას კრებაზეც გადმოეხეთქა.

ამ გვართ, საბჭოს მოღვაწეობამ, ერთი მხრით, და მსოფლიო ბაზრის ცვლილებამ—მეორე მხრით მოამზადა ნიადაგი მრეწველთა უკმაყოფილებისა და მომავალი შესტეჟებისა. ბევრ ამაში საბჭო, რასაკვირველია, სრულებით არ ყოფილა დანაშაული, მარა საკმარისი იყო მისი დაუხმარებლობა გაჭირვებული მრეწველისათვის, რომ მთელი დანაშაულობა მისთვის მოეხვიათ თავზე. მრეწველნი ფიქრობენ: საბჭო ჩვენი არჩეულია, ჩვენი ორგანოა და გაჭირვებაშიაც ჩვენვენ უნდა იყოსო. ეს გაჭირვება უმრავლესობისათვის უფრო-და-უფრო ძლიერდებოდა და საბჭო კი მაინც არ იყო მისკენ, არ იყო იმიტომ კი არა, რომ მსხვილ მრეწველთ ექომაგებოდა, არამედ იმიტომ წვრილებს არ ექამაგებოდა. საბჭო მეცადინეობდა სასწორი არც ერთი მხრისაკენ არ გადაეხარა, ორივეს ერთნაირათ მოპყრობოდა და ეს კი ძალაუნებურათ მძლავრის ხელის შეწყობაა სუსტის წინააღმდეგ. როცა ორ მებრძოლს შორიდან უყურებ და არც ერთს არ ეხმარება—ეს თავისთავათ მძლავრის გამოსარჩლებას ნიშნავს. საბჭო ფიქრობს: რა ჩემი საქმეა მრეწველთა შინაურ საქმეში ჩარევა, ერთის მომადლიერება და მეორის მომდურება, ჩვენ უნდა ვუძღვებოდეთ ისეთ საქმეებს, რომელნიც ყველას ეხება და აერთებსო. ცხადია, მრეწველთა უმრავლესობის შეხედულობა საბჭოს მოვალეობაზე და თვით საბჭოს შეხედულობა ამავე საგანზე სხვა-და-სხვა ყოფილა. პირველის აზრით ის უნდა ეხმარებოდეს მას მსხვილების წინააღმდეგ, ხოლო მეორესათვის სხვილი და წვრილი არ არსებობს, არსებობს მხოლოდ მრეწველობა და მრეწველი და მას უნდა ხელმძღვანელობდეს. წინააღმდეგობა ამ ორ მოსაზრების შორის აშკარაა.

და აი, ყველა ეს უნდა გამოაშკარავებულიყო კრებაზე.

რა არის კრება? ვისგან შედგება იგი?

შავი-ქვის მრეწველთა კრება შედგება შავი-ქვის ყველა მრეწველისაგან (იხ. წესდების მე-6 §). თითოეულ ამათგანს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ყველა იმ კითხვების გადაწყვეტაში, რომლის სისრულეში მოყვანა ხარჯის გაღებას არ მოითხოვს, ხოლო დანარჩენ კითხვებში, რომელიც კრების ფულის დახარჯვას თხოულობს, კენჭის უფლება

აქვთ შეძლებულთ. ამათ შორის ხმა ნაწილობა ასე: ისეთ მწარმოებელს, რომელიც წელიწადში ამუშავებს არა ნაკლებ ასი ათასი ფუთისა ან გააქვს არა ნაკლებ 300 ათასი ფ. აქვს ერთი ხმა; შემდეგ ხმა მრავლდება იმდენათ, რამდენათ ეს რიცხვი მრავლდება, მაგ. ორას ათას დამუშავებულ ქვაზე ორი ხმაა, ოთხას ათასზე სამი და ასე ბოლომდის. ექვსას ათას გატანილ ქვაზე ორი ხმაა, მილიონ ორას-ათასზე—სამი და სხ. ერთი სიტყვით, შეძლებულ მრეწველს 4, 5 და ათი ხმა აქვს, ხოლო შეუძლოს მეოთხედი, ნახევარი, ერთი და ორს მაინც აღარ გადააცილებს. როგორც ხედავთ, კრება ყველა მთავარ კითხვებში (საბჭოს არჩევანი და სხ). მსხვილ მრეწველთა სარბეილათ არის გადაქცეული. ასეთი წესდება შეადგინეს თვითონვე მრეწველთა პირველ კრებაზე (1896 წ). და მთავრობას დაამტკიცებეს¹).


1899 წ. აღწერით, შავი-ქვის მრეწველთა რიცხვი ყოფილა 990 რომელთაც ამოულიათ 34 მილიონი ფუთი ქვა. ამაში მწარმოებელთა ორ მესამედს ამოულია ასი ათას ფუთზე ნაკლები თითოს, ხოლო დანარჩენ ერთ მესამედს ასი ათასი და მეტი. მაშასადამე ორასამი მრეწველი ყოფილა ძალიან წვრილი შეძლების ხალხი. წვრილ მწარმოებელთა ჩითვლებიან აგრეთვე ისინიც, რომელნიც იღებენ წელიწადში 100—200 ათას ფუთ ქვას. ასეთი არიან 62. მაშასადამე 250 მრეწველი ყოფილა წვრილი კაპიტალისტი ქიათურაში. ხოლო დანარჩენი 40 მწარმოებელი შეიცავენ დიდი შეძლების ხალხს. ათ მსხვილ მწარმოებელს ამოულია 8 მილიონი და 786 ათასი ფ. ქვა, ე. ი. მთელი წარმოების ერთი მეოთხედი²).

ცხადია, კრება უნდა შედგეს ამ 250 წვრილ მწარმოებლისაგან და 40 მსხვილისაგან, ამას მიემატება 11 შეძლებული ექსპორტერი. ამაში ერთი და მეტი კენჭი აქვს მხოლოდ 102 მწარმოებელს, დანარჩენნი არიან უკენჭონი და მხოლოდ ერთმანეთთან შეერთებით შეუძლიათ კენჭის ცენზი მოიპოვონ.

ასეთია ძალთა განწყობილება ქიათურაში. როგორი იყო იგი კრებაზე?

1) წვრილ მწარმოებლებს წესდების შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ამავე კრებაზე ქიათურის ბოქაულმა, ბ. არდიშვილმა კითხვა აღძრა იმის შესახებ, რომ კრებას მუშების წარმომადგენელნიც ეწერებოდესო. ამ საგნის შემუშავება მიენდო თვითონ ავტორს, მაგრამ ის შემდეგ არც ერთ კრებაზე აღარ აღძრულა. საინტერესოა ვიცოდეთ, რა დამართა ამ წინადადებას?

2) დაწვრილებით იხ. „Статистика марганцевого дѣла“ გვ. 6 და სხ.



კრებას დაესწრო 96 კენჭის მქონე მაწარმოებელი. ამათში 67 კაცი იყვნენ ვეკილობით და წარმოადგენდა 139 მწარმოებელს. 29 კი პირადათ გამოცხადდნენ³⁾. გარდა ამისა 75 მწარმოებელს კენჭის უფლება არ მისცეს იმ მოსახრებით, რომ სამთო გამგეობის სიაში მრეწველებათ არ იყვნენ აღნიშნულნი. მაშასადამე, კრებაში მონაწილეობის მისაღებათ, პირდაპირ თუ ვეკილობით, მოსულასულ 243 მწარმოებელი. (ამათში ჩათვლილია 11 გამტანნი). კრების გარეშე დარჩენილა მხოლოდ 58 მრეწველი, რაც ერთობ ძალიან მცირე პროცენტია ასეთი შემთხვევებისათვის. თუ მხედველობაში მივიღებთ 75 გამორიცხულს, მაშინ გამოვა რომ კრების სხვა-და-სხვა კენჭის ყრაში მონაწილეობა მიუღია 168 მწარმოებელს, რომელთა შორის 9 გამტანნი არიან. 96 მეკენჭეთა შორის თითო ხმა ჰქონდათ 59, ოროლი ხმა—22, სამ სამი—8, ოთხ ოთხი—2, ხუთ-ხუთი—2 და შვიდ-შვიდი ხმა ორს. მაშასადამე 96 მეკენჭეს ჰქონებია სულ 157 ხმა. თუ წვრილ მეკენჭეთა სიაში ჩავრიცხავთ ერთ ოა ორ ხმიანებს გამოვა, რომ 81 მეკენჭე ყოფილა წვრილი და ჰქონებიათ 163 ხმა, ხოლო 15 ყოფილა სხვილი და ჰქონებია 54 ხმა. ანუ წვრილ მწარმოებელზე საშუალო რიცხვით მოდის ერთი ხმა და მეოთხედი, მსხვილზე კი თითქმის ოთხი ხმა. თუ ოროდ ხმიანთ მსხვილებში ჩავრიცხავთ, უკანასკნელთა რიცხვი გამოვა 37, რომელთაც 98 ხმა ჰქონდათ. საზოგადოთ, ეს ორი ხმიანები ხან ერთ პარტიას ემხრობიან და ხან მეორეს, ხან კი იყოფიან, ნახევარი ერთისაკენ გადადის და ნახევარი მეორისაკენ. ერთი სიტყვით, ესენი ორი უკიდურესი შეძლების შემაერთებელი ხალხია და ამიტომ შეიძლება მათ ამ შემთხვევაში შუაზე გაჩერებულნი ვუწოდოთ.

ასე თუ ისე, კრებაზე გამოცხადდა 59 წვრილი მწარმოებელი ამდენივე კენჭით, (სულ ქართველებია, ერთს გარდა) 15 სხვილი მწარმოებელი 54 კენჭით (ამათში 5 უცხოელი 25 კენჭით), 22 საშუალო 44 კენჭით (სამი უცხოელი).

ასეთია ძალთა განწყობილება კრებაზე. როგორც ხედავთ, კრების უმრავლესობას პატარა შეძლების ხალხი შეადგენს, ხოლო უმცირესობას მსხვილი კაპიტალისტები. ე. ი. ქიათურელ მწარმოებელთა თითქმის მთელი უკმაყოფილო ნაწილი კრებებზე გამოცხადებულა, რომ ეს თავისი გულის ნადები საჯაროთ გამოეთქვა. და მართლაც

³⁾ ნუ დაივიწყებთ იმას, რომ ზოგს თავისი ხმაც ჰქონდა და სხვისიც, ვეკილობით. მაგ. ბ. ემერიკს ამ გზით 10 ხმა შეუგროვდა (7 თავისი, 3 ვეკილობით); ამას გარდა კიდევ სამს ჰქონდა თითო ხმა სხვისი.

პირველსავე სხდომაზე ეს უკმაყოფილება აშკარა უნდა შეიქნა. კრების მდივანთ ბ. ზდანოვიჩმა დაასახელა ბ. დ. მდივანი. კრებამ კი ამაზე უარი თქვა და აირჩია ბ. პ. სურგულაძე. მდივნობა, რასაკვირველია, ბ. ზდანოვიჩის კანდიდატსაც შეეძლო და თუ კრებამ არ აირჩია—ეს იმიტომ რომ ამით მას სურდა უკმაყოფილება გამოეცხადებია საბჭოს თავმჯდომარისთვის. ეს იყო ნიშანი დიდი შეხეთქებისა, რომელიც შემდეგ დატრიალდა. კრებას ჰქონდა წარდგენილი განსახილველათ ოცი სხვა-და-სხვა საგანი. მაგრამ ბრძოლა გამოიწვია მხოლოდ რამდენიმე კითხვამ. პირველ ყოვლისა, კრების სასახელოთ უნდა ითქვას, რომ ის თანაგრძნობით მიეგება მუშათა სასარგებლო რეფორმებს. ბ. ზდანოვიჩის წინადადებით კრებამ გადაწყვიტა მუშათა დამხლვევ საზოგადოების და საავთმყოფო კასის დაარსება, ხოლო ბ. ქვარიანის წინადადებით იაფი სასადილოების, საკვირაო სკოლის, სამკითხველოს და სხვა-და-სხვა კითხვების გამართვა. ამასთან ვე ქვარიანმა განაცხადა: რომ მუშებმა ისარგებლონ ყველა ამით, საჭიროა კვირაობით ქირის მიცემა მოისპოს და მის მაგიერ ის შაბათობით მიეცესო. როგორ შეხედეს ამას ჩვენმა მსხვილმა მწარმოებელ-ინტელიგენტებმა? აი პროტოკოლის სიტყვები:

„თ. პ. გ. წულუკიძე. ანსებული წესი ქირის მიცემისა არის არა უბრალო ჟინი, არამედ თვით ცხოვრების მიერ შემუშავებული და რომ ის შეიცვალს თვით მუშები წააკებენ.

იავ. ლ. ლორთქიფანიძე. მე ძლიან მაკვირებს ბ. ქვარიანის განცხადება; ექვსი წლის გამოცდილება უფლებას მძღვეს ვთქვა, რომ ანსებული წესის შეცვლა შეუძლებელია, და არც თვითონ მუშები ფიქრობენ ამაზე.

კ. ს. მოდებაძე. აქ ბუკნს ღაზარაკობენ ეკვლეისის, ბიბლიოთეკის, საკვირაო სკოლის და სხ. დაარსებაზე. მაგრამ რა მნიშვნელობა ექნება ყველა ამას თუ კი მუშებთან ანგარიშის გასწორების ანსებულ წესს არ შეცვლით? რაც შეეხება ამას, რომ ეს ვითომ შეუძლებელი იყოს, მაგალითათ შოვიუვან ნ. ბ. დღობერიძეს, რომელიც მუშებს და ჩაღვადრებს შაბათობით უსწორდებოდა. რატომ სხვებს არ შეუძლიათ ეს?“

ცხადია, ამ მეტათ საჭირო რეფორმის წინააღმდეგნი შეიქნენ მსხვილ მწარმოებელთა წარმომადგენელნი ინტელიგენტები, ხოლო რეფორმის მომხრეთ—წვრილ მწარმოებელთა მეთაური ინტელიგენტები. კრება დაეთახმა უკანასკნელთ და დაადგინა: შესაფერი შუამდგომლობა აღიძრას სათანადო მთავრობასთანო. მაშასადამე წვრილ მწარმოებელთა პარტიამ გაცილებით უფრო მეტი გულმტკივნეულობა გამოიჩინა მუშების მიმართ, ვინც მსხვილების პარტიამ.



განსაკუთრებით დიდი ბრძოლა გამოიწვია ისეთმა კითხვებმა, რომელნიც შეიცავდნენ წვრილი მწარმოებლების არსებობის დედა-ძარღვს. ასეთია, როგორც ზევით ვთქვით, სამი კითხვა: პლატფორმების განაწილება, კრედიტის მოპოვება და საბჭოს გადატანა ქიათურაში.

თავმჯდომარე აყენებს კითხვას პლატფორმების შესახებ და აცხადებს, რომ საბჭოს არ აქვს ამის შესახებ მოხსენება და თან კომისიის არჩევას ურჩევს.

გ. ფ. ზდანოვიჩი: მე ჩემი მხრით ვაცხადებ, რომ ასეთი კომისია ძალიან სჭირდა და ავარჩიოთ ისე რომ ნახევარი მსხვილი კაპიტალისტებისაგან შედგებოდეს და ნახევარი წვრილისაგან. ამ შემთხვევაში კომისია შეიძლება უფრო წესიერად და სამართლიანად განაწილოს პლატფორმები. წინეთ სხვილების და წვრილების ინტერესი ისე დიდად არ განიხილადენ ერთმანეთისაგან პლატფორმების შესახებ, რაგონად ახლა“ და სხ.⁴⁾

აქედან ვტყობილობთ, რომ მსხვილ და წვრილ მწარმოებელთა შორის მართლა ყოფილა ინტერესის წინააღმდეგობა და აქამდის პირველნი ავიწროებდნენ მეორეთ. ეს კარგათ ცოდნია თვით თავმჯდომარეს და სწორეთ ამიტომ არ წარმოუდგენია თავისი მოხსენება, ვინაიდან მაშინ ძალაუფლებურათ ერთ რომელსამე მხარეს უნდა მიკედლებოდა, და ეს კი ასე ეწინააღმდეგება მის შეხედულობას საბჭოს მოვალეობაზე. მართალია, ის ამბობს, რომ მოხსენების დაწერა ვერ მოვასწარით, რადგანაც გზათა სამინისტრომ ეს კითხვა გვიან შეიტანა პროგრამაში, მაგრამ ეს უბრალო თავის მართლებათაა. განა თავიდან არ იცოდა რომ ასეთი საჭირო კითხვა უთუოთ უნდა ყოფილიყო კრებაზე განხილული?

ამ კითხვამ დიდი ალიაქოთი ასტება. ბ. ქვარიანმა წარმოადგინა პროექტი პლატფორმების განაწილების შესახებ, რომელიც მსხვილი მწარმოებელი ბ. ემერიკის სიტყვით „ფხვს უკრავს შეძლებულ მრეწველთ და სასარგებლოა მხოლოდ წვრილ მრეწველთათვის“. („ივ.“ № 193). ამისათვის ამ პროექტის წინააღმდეგ ამხედრდა თითქმის ყველა მსხვილი მრეწველი თავისი მეთაურებით. ისინი ამბობდნენ, რომ ასეთ პროექტს მთავრობა არ დაამტკიცებს და სხ. კრებამ მიუხედავად ამისა დაადგინა: მიღებულ იქმნას ქვარიანის პროექტი და ის დაედვას საფუძვლათ ამ საგნისთვის ამორჩეული კომისიის შრომასო.

რამდენათ საფუძვლიანია ბ. ქვარიანის პროექტი—ამის განხილვაში ჩვენ ვერ შევალთ. ვიტყვით

მხოლოდ რომ კრების თავმჯდომარე, ბ. ჩენგერო ერთ თავის სტატიაში ქვარიანის პროექტს იწინააღმდეგებს და ამბობს, რომ ადვილათ შესაძლებელია მთავრობამ ის დაამტკიცოსო.⁵⁾

მეორე და მესამე საჭირო-ბოროტო კითხვა შესახებ კრედიტის და საბჭოს ქიათურაში გადატანისა სრულებით არ იყო მოხსენებული პროგრამაში და მაშასადამე არც პქონდით უფლება ამ საგანზე ებაასათ. მაშინ მრეწველებმა დაადგინეს ტელეგრამით ეთხოვოს მინისტრს—ეს კითხვებიც იქმნას შეტანილი პროგრამაშიო, რაიცა სისრულეში იქმნა მოყვანილი.

ახლა ვიკითხოთ: რატომ არ იყო ის პროგრამაში მოხსენებული? პროგრამას ადგენს საბჭო და უგზავნის მწარმოებელთ განსახილველათ, მწარმოებელთაც უფლება აქვთ ახალი კითხვები შეიტანონ პროგრამაში და ასე ის შეავსონ. უკანასკნელთ, ცხადია, არ შეუტანიათ ის კითხვები, უეჭველია უცოდინარობის გამო, ხოლო პირველს სხვა მოსაზრებით.

საქმე იმაშია, რომ საბჭოს თავმჯდომარე წინააღმდეგია პირადი, ინდივიდუალური კრედიტის შავი-ქვრის მრეწველთათვის. ეს თავისი აზრი მან პირველათ გამოთქვა 1896 წ. კრებაზე. აი მისი სიტყვები:


„კრედიტი ორბირი მსხვილია. ის სსსარგებლოა მდიდრისათვის, ხალხი ღარიბისათვის კი ხშირათ დამღუჭველია. ვაღიო დატვირთული წვრილი მრეწველი იძულებულია დროზე გადაიხადოს, რისთვისაც თავის სსქონელს სსაღებს ჩაღის ფასათ.“

„აფ. მიხ. კონშინი (ინჟინერი): კრედიტი ესაჭიროება ღარიბებს და მათთვის არც ისე სსშიშარია. ეს შეიგნო ახლა თვითონ სსსხელმწიფომ და მათ კიდევაც ესმარება სხვა და-სხვა სსხის კრედიტის მიტემით.“⁶⁾

აქედან ცხადია, რომ ბ. ზდანოვიჩი წვრილ მრეწველთათვის კრედიტს საზარალოთ თვლის. მისი აზრით, კრედიტი უნდა მიეცეს ამხანაგობებს, სინდიკატს და არა კერძო პირთ. ამაზე კონშინი სამართლიანათ შენიშნავს, რომ თუ სინდიკატი და არსდება, მისთვის ზრუნვა იაფი კრედიტის მოსაპოვებლათ საჭირო აღარ არის, ის თვითონ იზრუნებს თავის თავზეო (იხ). ეს კითხვა მაშინ საბოლოოთ ვერ გადაწყდა და დაადგინეს: მიენდოს საბჭოს წარმოადგენა მომავალ კრებაზე თავისი შეხედულობების. ეს კრება მოხდა 1897 წ. და ბ. ზდანოვიჩმა წარმოადგინა წინადადება ცნობილი

⁵⁾ იხ. „Вѣстникъ горнаго дѣла и орошенія на Кавказѣ“, № 10, გვ. 3.
⁶⁾ „Труды перваго и втораго съѣздовъ“ გვ. 38 და სხ.

⁴⁾ ჩვენ ხელთ გვაქვს რუსულათ დაბეჭდილი პროცოკოლის პირველი ორი ფორმა (32 გვ.), და იქიდან ვსარგებლობთ.



სინდიკატის შესახებ, რომელსაც დაუმორჩილა როგორც ტარიფის, ისე კრედიტის საქმეც. ის აქაც წინააღმდეგი იყო პირადი კრედიტის. კრება ახლა დაეთანხმა ბ. ზდანოვიჩის და დააეღა სინდიკატის პროექტის გაყვანა მთავრობასთან. სინდიკატი, როგორც ვიცით, უარ ჰყო მთავრობამ; ამით უარი ეყო საამხანაგო კრედიტსაც. მაშასადამე ეს ერთხელ აღძრული კითხვა არ უნდა გაეჩერებია საბჭოს, მას ამის უფლება არც აქვს; მას ის უთუოთ უნდა წარედგინა ხელმეორეთ განსახილველათ მესამე კრებისათვის. მაგრამ ამ თავის მოვალეობას ის გადაცდა და წლევანდელ კრებას არ წარუდგინა. ვიმეორებ, ეს იმიტომ რომ ის პირადი კრედიტის წინააღმდეგია, ხოლო საამხანაგო კრედიტი უსინდიკატოთ არ შეიძლება. არ არის სინდიკატი, არ გვინდა კრედიტი—ი ბ. ზდანოვიჩის მოსაზრება.

ასეთივე მოსაზრებით საბჭომ პროგრამაში არ შეიტანა მესამე კითხვა: სახელდობრ, სად უნდა იყოს საბჭოს ბინა. ამით მან პირდაპირ დაარღვია პირველი კრების დადგენილება, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ „საბჭოს ბინა იყოს ქუთაისში შემდეგ ზვეულებრივ კრებამდისო.“⁷⁾ მაშასადამე წლევანდელ კრებას უნდა აერჩია სამუდამო ბინა საბჭოსი. (1897 წ. კრება არაჩვეულებრივი იყო).

საბჭომ, კი მიუხედავთ პირველი კრების განჩინებისა, ეს კითხვა გადააფუიჩნა და განჩინებისამებრ არ იმოქმედა. და მერე რატომ? იმიტომ რომ ის წინააღმდეგი იყო საბჭოს ქუთაისიდან გადატანისა. პირველ კრებაზედვე ბ. ზდანოვიჩმა განაცხადა, რომ საბჭოს ჭიათურაში გადატანა ყოვლად შეუძლებელიაო⁸⁾. ეგვე განაცხადა ბ. ზდანოვიჩმა წლევანდელ კრებაზე, თუმცა შემდეგ სხდომაზე გადათქვა, მე ეს არ მითქვამსო (იხ. პროტოკოლი გვ. 11 და 13).

ერთი სიტყვით, საბჭოს თავმჯდომარე წინააღმდეგი იყო პირადი კრედიტის და საბჭოს ჭიათურაში გადატანის და ამისთვის არც ერთი ეს პროგრამაში არ შეიტანა.

კრებამ მიიღო რა მინისტრისაგან ნებართვა, შეუდგა ამ საგანზე სჯას და შემდეგ დიდი კამათისა დაადგინა: დაარსდეს ბანკი ჭიათურაში და საბჭოც იქვე იქმნას გადატანილიო.

ამ ნაირათ, წვრილ მწარმოებელთა პარტიამ, (წოდებულმა ოპოზიციათ) გაიყვანა მუშათათვის სასარგებლო ცვლილება შესახებ შაბათობით ანგარიშის გასწორებისა, გაიყვანა თავის სასარგებლოთ

ცვლილება შესახებ პლატფორმების განაწილებისა, კრედიტის მოპოვებისა და საბჭოს გადატანისა⁹⁾.

სამაგიეროთ, ოპოზიცია ანუ წვრილ მწარმოებელთა პარტია შეცდა ბევრში. პირველათ, ის რაღაც დაფარული მოსაზრებით მიეკედლო მსხვილ მწარმოებელთ და უარჰყო საბჭოს წინააღმდეგ ფუთ გატანილ ქვაზე კრების სასარგებლოთ ნახევარი კაპეიკის მაგიერ სამი მეოთხედი კაპეიკის გადახდა. ეს ცვლილება უფრო დიდ კაპიტალისტებს აწვებოდა და ისინი კიდევაც ეწინააღმდეგებოდნენ, წვრილები კი მომხრეობდნენ, მაგრამ ბოლოს კითხვა კითხვათ დატოვეს. ახლა ერთი მითხარით, რა ფულით სურდა ოპოზიციას იმდენი ცვლილების შემოდება მუშათა და საზოგადო კეთილ დღეობის მოსაწყობათ? რომ იმდენ საჭიროებას არსებული გადასახადი ვერ დააკმაყოფილებს ეს ცხადია, მაშ საიდან უნდა აიღონ საჭირო თანხა? მომავალ კრებაზე ეს დიდი შეცდომა უნდა გასწორდეს.

მეორე შეცდომა ოპოზიციისა მდგომარეობს საბჭოს არჩევანის საქმეში. რაკი ბ. ნიკოლაძემ გადაქრით უარი თქვა კანდიდატობაზე; მეორე კანდიდატი აღარ უნდა წამოეყენებიათ. ან რაღა დროს კანდიდატის ძებნა იყო კრების ბოლო დღეებში. საქმე იმაში კი არ არის, რომ თავისი კანდიდატი უთუოთ გაათეთრო (ეს ქუთათური ინტელიგენციის ბრძოლის ტაქტიკაა), არა, თუ კი ჩემ საქმეს სხვა: გავაკეთებებ—ეს კიდევ უკეთესი. ოპოზიციას კრიტიკაში უნდა გაეტარებია ბ. ზდანოვიჩის მოქმედება და მისთვის ეთქვა: აი ეს ასე მოიმოქმედე და ის ისეო. მართალია, თხოვნების დასაბუთებას კრება მას ვერ ასწავლიდა, მაგრამ საკმარისი იყო ეს კითხვა მას აღეძრა, რომ საბჭო შემდეგში ფრთხილათ მოქცეულიყო. ოპოზიციამ კი ბ. ზდანოვიჩის ვერც ერთი ქალაღი ვერ გაარჩია და ჩააფრინდა ისეთ საეჭვო საგანს, როგორც გზების გაკეთებაა; ოპოზიცია იწუნებს ზდანოვიჩის მოქმედებას ტარიფის დაკლების საქმეში, მაგრამ ამის ვერც ერთი საბუთი ვერ წარმოადგინა—ერთი სიტყვით, ის არ იყო მომზადებული კრიტიკისათვის, საბჭოს მოქმედების დასაფასებე-

⁹⁾ ბ. ლალი თავისი საბჭოს ქებათა-ქების წერილში („მოამბე“ № 8) ასე წერს: „ოპოზიციამ მთელი კრები განმავლობაში ვერაფრით ვერ დაამტკიცა, რომ მას მართლ გული შესტკივა წვრილ მრეწველთათვის, ვერაფერი საშუალება ვერ წამოაყენა, რომელიც შეიძლებდეს წვრილი მრეწველის შველა, ვერაფერზე მიგვიოთთა ისეთზე, რაც საბჭოს მოემოქმედოს წვრილ მრეწველთა წინააღმდეგო“ (გვ. 92). ამაზე უფრო სიმართლის გამრუდება კიდევ შეიძლება?

⁷⁾ იხ. გვ. 8.
⁸⁾ იხ. გვ. 7.

ათ¹⁰), ხოლო სურვილი ასეთი დაფასებასა დიდი ჰქონდა. მას ეტყობოდა საქმიანობა მხოლოდ მაშინ, როცა ის წვრილ მრეწველთა სასარგებლო ცვლილებებს ახდენდა, როგორც ეს ზევით აღვნიშნეთ. და ის ამით უნდა დაკმაყოფილებულიყო, მაგრამ არა, ის მოედვა ყველაფერს, მოისურვა ყველაფრის შეხება და ამან ბოლოს და ბოლოს დააუძღურა იგი. მართალია მას რიცხვით შესამჩნევად არ უკლია, მაგრამ გავლენით და საქმიანობით შესამჩნევად იკლო. ბრძოლის ხალისმა ისე გაიტაცა, რომ კანდიდატად ვიღაც კალატოზიშვილი წამოაყენა, რომლის ვინაობა და მოქმედება დღესაც წყვედიდით მოკვლია. ბ. ზდანოვიჩის მოპირდაპირეთ ასეთი უცნობი დააყენეს და რაღა გასაკვირველია ის გათეთრებულიყო. მაგრამ ეს გათეთრებაც ვერაფერი სასიქადულოა.

ბ. ზდანოვიჩი ამჟამინა მრეწველთა უმცირესობაში და აი როგორ. წვრილების რიცხვი იყო 59, მსხვილების 15, ხოლო საშუალო 22. პირველთ ჰქონდათ 59 კენჭი (თითო-თითო), ხოლო მეორეთ და მესამეთ 99 (თითოს ორი და მეტი). მაშასადამე ოპოზიცია მრეწველთა რიცხვით იყო მეტი, ხოლო კენჭით ნაკლები. მსხვილების პარტია რიცხვით იყო ნაკლები, სამაგიეროთ კენჭით მეტი. ბ. ზდანოვიჩს ამოუვიდა 95 თეთრი და 55 შავი: ე. ი. მისი გამთეთრებელი ყოფილა არა უმეტეს 35 მეკენჭისა (ამათში 9 არა-ქართველი, 31 კენჭით), გამაშავებელი კი არა ნაკლებ 55-სა (სულ ქართველობა). მაშასადამე ის ამოუჩვენებია უმცირესობას. ის არის ქართველი და უცხოელი შეძლებული კაპიტალისტების არჩეული და ეს ვერაფერი საქები უნდა იყოს მისთვის. ეს გამარჯვება კი არა, დიდი დამარცხებაა. ეს მოწმობს იმას, თუ რამდენად მოკლებული ყოფილა ბ. ზდანოვიჩი პოპულიარობას და თანაგრძნობას ჭიათურის მრეწველთა შორის. ამათ გადაუწყვეტიათ მისი გაშავება და თუნდაც ეს კალატოზიშვილის გამარჯვებით მომხდარიყო — არ დაეძებდნენ.

ოპოზიციის შეცდომა მდგომარეობდა აგრეთვე იმაში, რომ როგორც კი ზდანოვიჩი გათეთრდა, მან დატოვა დარბაზი და ბრძოლის მოედანი მოწინააღმდეგეთ მიუტოვა. ეს გვაგონებს ქუთაისის „ბრწყინვალე“ ოპოზიციას, რომელმაც ბანკის დარბაზი დატოვა როგორც კი ჩიკვაიძე გაათეთრეს და

¹⁰) ოპოზიციის ერთი მეთაურთაგანი ბ. ქვარიანი ამას იმით ხსნის, რომ საბჭოს ანგარიში კრების დროს დაგვირიგდაო. ძლიერ კარგი, მაგრამ ეს ვერაფერი თავის გამართლებათა. თუ კი „ანგარიშის“ შესწავლა ვერ მოასწარით, კრიტიკაც არ უნდა დაგეწყით.

დირექტორების თუ სხვა პირების არჩევანში, მონაწილეობა არ მიიღო. საზოგადოთ, შავი-ქვის მწარმოებელთა ოპოზიციას საბანკო ოპოზიციის ბევრი თვისებები გადმოუღია. იმას რომ თავის გზით ევლო, ზდანოვიჩის გათეთრების შემდეგაც დარბაზში დარჩებოდა და საბჭოში მაინც თავის ხალხს ამოირჩევდა.

ამ ნაირათ, კრების წვრილ მრეწველთა პარტიამ წამოაყენა და გაიყვანა ყველა საჭირ-ბოროტო კითხვა მსხვილების წინააღმდეგ; ის თავის ძალას იჩენდა რეფორმების შემოღებაში. მეორე მხრით, იმან გამოიჩინა დიდი უტაქტობა და მოუმზადებლობა საბჭოს კრიტიკაში და არჩევნებში. მაგრამ, მოგვხსენებთ, ფეხის ადგმა წაუბოროძიკებლათ და დაუცემლათ შეუძლებელია...


ამით ვათავებთ ამ ჟამათ ამ საგანზე საუბარს. ნ. ჟორდანი.

სხვა-და-სხვა ამბები

როგორც იტყობინებიან, 25 ენკენისთვის მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრ ერმოლოვის თანადასწრებით ტყვარჩელის სახაზინო ადგილებში (დ. ოჩამჩირის ახლო) უკუბრუნებიათ პირველი გვირაბი ქვა-ნახშირისა. მინისტრს დაწვრილებით დაუთვალაიერებია ეს მადნები და ის აზრი გამოუთქვამს, რომ ამ საქმეს დიდი მომავალი აქვსო. ნახშირი მეტათ კარგი ხარისხისაა, ძალიან დიდ მანძილზეა გაშლილი და ალაგ-ალაგ მისი სისქე 7 საჟენს აღემატება თურმე, ასე რომ იმედია მთელი საუკუნის განმავლობაშიაც ვერ ამოცლიან ნახშირს, ისე ბევრი ჩანს; ზღვაზე გატანაც მეტათ ადვილია და არავითარი ტექნიკური დაბრკოლება წინ არ ელოდება თურმე.

სამიწათ-მოქმედო სამინისტროს წარედგინა ინჟენერ გრინევის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ მიეცეს მას ნება მარგანეცის ამოღებისა განჯის გუბერნიის, ყაზახის მაზრის, კლიჩკენდის სოფლის სახაზინო მაწიდან.

კავკასიის ადმინისტრაციას წინადადება მიუცია თფილისის ყველა ფაბრიკებსა და ქარხნების პატრონებისთვის შეიმუშაონ განსაკუთრებული წესრიგი, რომლით უნდა გაწესრიგდეს მეფაბრიკე-მექარხნეთა და მუშათა ურთიერთობა. ეს წესრიგი შემდეგ უნდა წარედგინოს განსახილველათ საგუბერნიო მართველობას.



როგორც „ახ. მიმ.“ ატყობინებენ ქ. ქუთაისიდან, ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის გამგის კანდიდატებათ, ბ-ნ ალ. ჭიჭინაძის მაგერ, ასახელებენ ბ.ბ. პ. გოთუას და ი. ოცხელს.

სახელმწიფო რკინის გზათა უმთავრეს სამმართველოს შეუმუშავებია პროექტი, რომლის ძალითაც რკინის გზაზე მსახურ მოხელეებს ერთგულ სამსახურისათვის ყოველ ხუთი წლის განმავლობაში მიემატათ 10% მათი ჯამაგირისა. ეს პროექტი სახელმწიფო საბჭოს წარედგინება დასამტკიცებლათ.

ამას წინეთ „კვალში“ შეცდომით გვქონდა გამოცხადებული, ვითომ მაშინისტების თანაშემწენი ყველა მიეღოთ სამსახურში. ოცდა შვიდ კაცში მხოლოდ ოთხი მიიღეს.

„Русск. Вѣд.“ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია პროფესორ ალ. ს. ხახანაშვილის წერილი იმის შესახებ, თუ, სახელდობრ რომელი დღე უნდა ითვლებოდეს საქართველოს რუსეთთან შეერთების დღეთ. პატივცემული პროფესორის აზრით ამ დღეთ უნდა ჩაითვალოს 1900 წ. 28 დეკემბერი, რადგან ამ დღეს გარდაიცვალა ქართველთა უკანასკნელი მეფეო.

1-ლ იანვრიდან შემოდებული იქნება ახალი ნომერის 7 და 14 კაპეიკიანი საფოსტო მარკები.

შაფათს, 30 ენკენისთვის, სათავად-აზნაურო თეატრში გაიმართა ახალ არტისტთა გამოსაცდელი წარმოდგენა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 12 მსახიობმა. ამათ შორის გამგეობას აურჩევია 5, სამი ქალი და ორი კაცი.

გორის მემამულეთა ამხანაგობამ გახსნა განყოფილებები გორის მაზრის ს.ს. ბრეთსა და კნოლევში, ქ.ქ. გორში, ბათუმში და დ. ჭიათურაში. მალე გაიხსნება განყოფილება თფილისშიაც.

ამ დღეებში თფილისში ჩამოვა ბელგიის უსახელო საზოგადოების დირექტორი ბ. რობი და მაშინვე შეუდგებთან თფილისის ელექტრონულ ტრამვაის მზადებას.

რამდენიმე სოფლის საზოგადოებებს ქუთაისის მაზრისას გადაუწყვეტიათ იშუამდგომლონ ვისთანაც ჯერ არს, რათა რკინის გზის პლატფორმა იონეთი (კობიტნარის და სამტრედიის შორის) გადაკეთებულ იქმნას სადგურათ.

ამიერ კავკასიის რკინის გზის გამგეობას მართავს სამხედრო უწყებისათვის შემდეგი წინადადებით: რადგან რკინის გზის სახელოსნოებში მუშათა ნაკლებობაა, ამისათვის ვთხოვთ გამოუცხადოთ იმ ჯარის კაცებს, რომლებიც სამსახურს ათავებენ და რაიმე ხელობა იციან, შემოვიდნენ ჩვენთან სამუშაოთა.

რაჭიდან წერენ „Чер. Вѣст.“, რომ იქ წელს კარგი მოსავალია ღვინის, პურის და სიმინდის. ამ გვარი მოსავალი 12 წელიწადი იქნება რაც არ ყოფილაო.

გაზ. „ივერიას“ ატყობინებენ ხევსურეთიდან და ქისტების სოფლებიდან, რომ იქ პურის მოსავლისათვის თოვლს მოუხსრია და მცხოვრებნი სრულიად ცარიელზე დაუსვამს.

29 სექტემბერს თფილისის საოლქო სასამართლოში გაირჩა საქმე ექ. ივ. ხელაძისა, რომელიც ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოებას 9,600 მ. ზარალს უჩივის, საქმე იმაშია, რომ ხელაძე ამ რამდენიმე თვის წინეთ „კონკის“ ვაგონმა გადააგდო და რამდენიმე მანძილზე გაათრია, რის გამო დიდათ დაშავდა. ექსპერტებმა შეამოწმეს დაზარალებული და დაამტკიცეს, რომ ხელაძეს იმ ჩამოვარდნის მერე აღარ ძალ უძს ჩვეულებრივით განაგრძოს თავისი საქმეებო. სასამართლომ მიიღო რა ეს მხედველობაში, დაადგინა ზოგი წვრილი ფაქტები შეტყობილ იქმნას მოწმეების საშუალებითაო.

ჩვენ მოგვივიდა „ცნობის ფურცლის“ რედაქციის გამოცემა „თხზულებანი შ. არაგვისპირელისა“, წიგნი პირველი, ავტორის სურათით. წიგნი კობტათ და სუფთათ არის დაბეჭდილი, შიგ მოთავსებულია 10 თხზულება (1890—92 წ). შეიცავს 205 გვერდს და ღირს 50 კ.

„კვალის“ კორესპონდენციები

ქ. ქუთაისი. ვინ არ იცის, რომ სწავლას განათლებას სჭირდა, ვინ არ იცის, რომ სკოლებიც სჭირდა! ქუთათურებს კი ეველას ერთხანათ არ ესმისთ ეს. ენკენისთვის დასაწყისში ქუთაისი აივსო სკოლაში შესვლის მსურველი ბავშვებით. მშობლები გულ-დახეთქილები დარბოდენ ერთი სასწავლებლიდან მეორეში, ეველას სასწავლებლებში შეჭქნდათ თხოვნა ეგებ რომელიმეში შეხედეს ჩემ შეიღს ადგილიო, მაგრამ ბოლოს მშობლების უმეტესი ნაწილი სასწავლებლებში ჩავარდნილი ბრუნდებოდა უკან ეველას სასწავლებლებიდან. ქუჩაში ისე ვერ გაივლიდი, ათ — ოც . გულ-გახეთქილ მშობელს არ შე-

მოქიფლა შენთვის თავისი უბედურება. ეგელა ქუთაისის სასწავლებლების მმართველები შედიოდნენ მშობლების მდგომარეობაში, ცდილობდნენ ეშველათ როგორმე მწუხარე მშობლებისათვის; რეალურმა სასწავლებელმა გამოუცხადა მშობლებს, თუ გსურთ შემოიტანეთ საჭირო ფული და პარალელურ კლასს გავსენით. მშობლები სიამოვნებით დათანხმდნენ, შეაგროვეს საჭირო თანხა და შეიტანეს ხაზინაში. გაიხსნა პარალელური კლასი, მაგრამ ეს კლასი რამდენს ეყოფოდა?

გაეშურნენ მშობლები სამოქალაქო სასწავლებლისაკენ. ახლა აქ დაუწყეს ხვეწნა და მუდარება სასწავლებლის ინსპექტორს ეშველა რამე. ინსპექტორმა მოახსენა სახალხო სკოლების დირექტორს უფველი და მისი თანხმობით გაიხსნა ორი პარალელური კლასი—მშობლებების ხარჯზე. გამოუცხადა თუ არა ინსპექტორმა შემოიტანეთ საჭირო ფული და კლასს გაეცხინათ, მაშინვე შეგროვდა იმდენი ფული, რომ ოთხ კლასსაც შეინახავდა, (იმდენი იყო მსურველი), მაგრამ დირექტორმა ვერ იცნო შესაძლოთ ორი კლასის მეტი მოემატებინა უმისოთაც საძინაო გადიდებული სასწავლებლისათვის. (ქაურ სამოქალაქო სასწავლებელში ამ უამთ 16 კლასია, მაშინ, როდესაც სხვაგან 4—6 კლასის მეტი არ არის სამოქალ. სასწავლებელში).

ერთი სიტყვით, ეგელა სასწავლებლები შევიდა მშობლების მდგომარეობაში და შეძლებისა დაგვარათ ესმარებოდა საქმის უკეთესათ მოწყობას, მხოლოდ ქაური სათავად-აზნაურთ სკოლა მოიქცა ისე, როგორც შეეფერებოდა ჩვენ საზოგადო მოღვაწეებს. ამ სკოლაში უფილი ინსპექტორის, ალ. კარსევანაშვილის მეტადინეობით გაიხსნა 1898 წელს მეორე განყოფილების პარალელური განყოფილება და 1899 წელს მესამე. წელს, იმის მაგივრათ რომ კიდევ მოემატებინათ პარალელური კლასი და ამით მიშველებოდნენ გაჭირვებულ მშობლებს.—მეორე პარალელური განყოფილებაც დახურეს და გადაწვიტეს, რომ მომავალში დახურონ უკვე არსებული მესამე და მეოთხე პარალ. განყოფილებებიც.

რათ მოიქცნენ ასე ქუთაისის სათავად-აზნაურთ სკოლის პატრონები? ამის გაგება ძნელია. ამბობენ სკოლას საშუალება არა აქვს მომატებული კლასების შესანახათ. ჩემი აზრით, ამ მოსაზრებებს არავითარი საბუთი არა აქვს. თუ იქ ხსნიან პარალელურ კლასებს მშობლების ხარჯზე, სადაც თითო კლასის შენახვა წელიწადში 2000 მანეთზე მეტი ჯდება, ხუ თუ სათავად-აზნაურთ სკოლას არ შეეძლო გაეხსნა პარალ. განყოფილება, რომელიც 1000 მანეთზე მეტი არ ჯდება? მშობლები მიდიან სკოლაში, ეხვეწებიან მმართველს გვიშველე რამე, რაც ცინდათ გადაგვანდევინეთ და მიიღეთ ჩვენი შვილები. ვიღუებით, დრო მიდის და გვრჩება შვილები ახანის უსწავლელათ და ახლა უსწავლელი კაცი რადათ დიკისა? ამის პასუხათ მშობლებს ეუბნებიან, ჩვენ არამც თუ ახად კლასს არ გავცხინათ, არამედ უკვე არსებული მეორე განყოფილებაც უნდა დახურეთ...

თქვე დალოცვილებო, თითო მშობელი 4 მანეთს... სიამოვნებით გადაიხდიდა, ოდენდ მიგედოთ მისი შვილი... სკოლაში და თქვენ ხომ ოცი მანეთიც გუყოფოდათ თაითოსკან ერთი განყოფილების შესანახათ! არა, ეს შეუძლებლობის მიზეზი არ არის, ამის მიზეზი ის უნდა იყოს რომ თქვენ იმ თვალებით უყურებთ ცხოვრებას, როგორი თვალებითაც ამ ოცი წლის წინეთ უყურებდით, მაშინ როდესაც ეს ცხოვრება გამოიცვალა და იჩქარის კიდევ უფრო გამოიცვალს...

№

ს. ა. ბ. ხ. გ. (ქართლი). უწინ საჯავახანო მთა საერთო იყო, თავადების საკუთრება. გლეხ-კაცს მაშინ თავისუფლათ შეეძლო ეგელა მთასა და ბარში ახლანდელზე კაცილებით ნაკლებსაფასურით. 60 წელზე მეტია ორი ჩამომავლობა ჯავახიშვილებისა ქიშხისა და დავიდარბას უნდებიან. ორივე მხარე ამ დავას შეაღია თითქმის ნახევარი თავისი საზოგადოება. ეს შესუთე წელიწადია მთავრობამ გააზავა ორივე მხარე, ეგელამ თავისი წილი მამული შემოაყარა. დანებდა მამული, დანაწილდა, —და ცხოვრებაც კართულდა. თავად-აზნაურთა დროს შესაფერი მოთხოვნილება პატარა და მცირე შემოსავლიანი მამულით ვეღარ კმაყოფილდება. ახლა კი ეგელა მიხვდა, რომ მამული უფილია მათი მაცნოვრებელი, ახლა თავლი გახილეს და მამულს მაგრა მოუჭირეს ხელი. გლეხიც შეწუხდა: მასაც უნდა „ცხოვრების მეჭვლიშვი“ კერძი ირგუნოს, მოთხოვნილება მასაც ერთი-ორათ მოემატა. ის ნათლათ ხედავს, რომ ეგელან გზა ეკვრის; თითო ფუნის გადაღმა ფულსა თხოულობს, ფულით, კარაპეტასი არ იევეს „სულს აცნობებს“. წინანდელივით მთით საჩუკებლობა ადარ შეუძლია. საქონლის საძოვრელათაც კი ფასი უნდა გაიდოს, ერთი სიტყვით მუქათა არა ეძლევა. აი ახლა გაჩნდა მღვრეი წყალში თევზის ჭერა. გაჩნდნენ ვითომდა გლეხის გულ-შემატკიავარი. ზოგიერთა „კული“ კაცუნები ადელვებენ გლეხებს თავადთა წინააღმდეგ; კანონით ნება აქვთ თავისუფლათ ისარგებლოთ ტუითაც, საძოვრითაც და სახანავითაც უფასოთ, თუ ერთათ იმოქმედებთ და მთელი სოფელი შეებრძოლებით შემამულით. დაიწეს დავა საძოვარზე. სენატმდის იარეს. გატყავდნენ სოფელენი ამ დავით, ეგელა სასამთლო საფეხურზე წააკეს საქმე. კანონით რომ ვერაფერს გაჩდენ, ახლა ძალას მიჭევეს ხელი.

ეს მეოთხე წელიწადია ვართ ერთ ვაი-უშველებელში. ჭერაც ბოლო არ უჩანს ამს და ვინ იცის რითი ან როდის გათავდება.

25 წელზე მეტია რაც აქ ერთკლასიანი სასწავლებელი არსებობს და სხანამ აქ სამკითხველო წიგნთ-საცავი არ დაასრდა საჩუკებლობა ვერა ვნახეთ-რამისკან. ხოლო სამკითხველს დაასრება კი ხალხს დიდი ნდობა მოუპოვა სკოლისადმი. ეს მესამე წელიწადია

საქართველოს
სამეცნიერო
მუზეუმი



აუნების ცხოველები



დია, რაც სამკითხველს არსებობს და ამ მცირე ხნის განმავლობაში ისეთი სურვილი აღუძრა სწავლისა სოფელს, რომ ჩვენ რომ ხალხს ნება მივცეთ და ვგელა შევირდი მივიდეთ (უადგილობის გამო ვგელას ვერ ვიღებთ) წელს ორასზე მეტი ბავშვი გვეყოლება სსსწავლებელში. შარშან 80 სწავლებდა. 16 კათაფა (8 ვაჟმა და 8 ქალმა). ორ სუბკლასურ შევირდს სხუქრებათ მიეცა წიგნი: „ბუნების საცნარო და მრისხანე მოკლე-ნანი“ რუბაკინისა, მათი თხზვნისამებრ. დანახუნებს დაურიგდათ შუქთათ მოკლე დარიგება აბრეშუმის ჭიის მოკლის შესახებ მკურნაღისა. ზირველ დაწებითი სკოლები სოფელს ცოტასა ქმარებს, თუ იმავე დროს სკოლას ხელს არ უწყობს რიგინათ დაუენებული სამკითხველს წიგნთ-საცავი. სამკითხველს სარგებლობას ახლა შეუგნებელი გლეხ-კაციც კი გრძობს. აქამდის მარტო წიგნები გაქმნდათ ხალხე სამკითხველადან, ამ ბოლო დროს კი ზოგი-ერთებს გაზეთებიც გააქვთ. ჩვენი დარბი სამკითხველს კურსს დამთავრებულმა შევირდებმა ხომ სულ გადაიკითხეს.

შ. ჯ.—ლი.

ბოლიტიკური მიძობილება

ყველას ეგონა, რომ ჩინეთი სხვა მიწინარდება და მისი ცხოვრებაც წინანდელ ელფერს მიიღებს. „დიდი მუშტის“ მოძრაობა მართლაც მისურტდა, მაგრამ სამაგიეროთ დაიწყო მეორე ხარი მოძრაობა, ამ ვამათ უფრო შესანიშნავი და ზრგრესიული. „დიდი მუშტის“ ამბობება აღმდინდა ჩინეთის ვეგლასზე უფრო უკანასკნელ და დაძველებულ ზრგინციებში—ჩრდილოეთში. ეს ნაწილი მოცილებულია ევროპიელთა ხშირ ვაჭრობას, მიმოსვლას და ზედ-გავლენას. ამიტომ აქაური ხალხის აჯანყება იყო აჯანყება უცხოელთა წინააღმდეგ თავისი ძველი ცხოვრების დასაცვლათ. ამ აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია სამხრეთს, ზირიქით ამ ნაწილმა მტრობაც გამოუცხადა ჩრდილოეთს. რატომ? იმიტომ რომ სამხრეთი ჩამოშლია ევროპისთან ვაჭრობაში, მისი ინტერესი ზირდაზირ გადახლართულია ევროპიელთა ინტერესებთან, ევროპიელნი მისთვის სჭირონი არიან და რაღა გასაკვირველია იღებოთაც სამხრეთის ხალხი ევროპიელთ უხლოდებოდეს. და აი, როგორც უკანასკნელი დეპეშები გვატყობინებენ, ეს მოწინავე ჩინელები აჯანყებულან არა უცხოელთა წინააღმდეგ, არამედ წინააღმდეგ თავისივე მთავრობისა. მათ სურთ აწ არსებული მანჯურთა დინასტია, რომლის ბატონობამ ამდენი დავიდარბა დაატყნა ქვეყანას, გადააგდონ და მის ნაცვლათ ახლან, უფრო მოწინავე გვარი გაამოფონ. ამ მოძრაობას მეთაურობენ ჩინეთის რეფორმატორები, მომხრენი ცნობილი კან-იუშისა და ამიტომ ის ეოველივე თანავრძობის დირსია. აი რას იუწყებიან უკანასკნელი

დეპეშებით: 2 ოქტომბერი. შანხაი. კანტონის ზრგინციებში აჯანყება დინასტიის წინააღმდეგ; კვანის ზრგინციებში ადგილობრივ მოხელეთა წინააღმდეგ; არც ერთი ამბობება არ არის მომართული უცხოელთა წინააღმდეგ. დინასტიის წინააღმდეგი მოძრაობა აგრეთვე იუნკაეში. მთელ ჩინეთში დიდი მღელვარებაა, რომლის მიზანია მანჯურიის დინასტიის გადაყენება. — კანტონი. მუამბოხეებს დაამარცხეს იმპერატორის ჯარი, დაჭირეს რამდენიმე ადგილი, ისინი არ ცარცვავენ და არ ახადგურებენ ტადრებს და მისიონერთა შენობებს. ამბობენ ამბობება დინასტიის წინააღმდეგია. — 3 ოქტომბერი. გონგონგი. ამბობება დიდ მანძილზე ვრცელდება. ეს დიდი მუცადინეობით არის მომზადებული. მუამბოხენი განკებ არა ცარცვავენ სოფელთ და უცხოელთ. გუანდუნისა და გუან-სიის ზრგინციის მრავალ დიდ ქალაქებიდან ამბობებას იუწყებიან. აშკარაა, კან-უგვის და სუაცენის (რეფორმატორები) მომხრენი და საიდუმლო საზოგადოების წვერი სხნოვე ერთათ მოქმედობენ დინასტიის გადასაყენებლათ და სს. ერთი სიტყვით, სამხრეთი ჩინეთი შინაური მტროვლობის წინააღმდეგ ამხედრდა, ეს არის ნამდვილი რევოლუცია და რა ნაყოფს გამოიღებს— შემდეგ დავინახავთ.

შესანიშნავი ამბები ხდება ინგლისში. სამხედრო ზარტია თანდა-თან იმარჯვებს არჩევნებზე და ჩემბერლენის „რკინის“ პოლიტიკას ემხრობიან. არჩევნები ჯერ არ არის დასრულებული, მაგრამ უკვე მომხდარმა არჩევნებმა სრული უზირატესობა არგუნეს მთავრობის ზარტას. ეს ნიშნავს, რომ ინგლისის ხალხი სკარეო პოლიტიკაში შედგარ და ძლიერ ზომებს თხოვდა. ამ ვარემებს დიდი მნიშვნელობა აქვს საერთა—შორისო განწყობილებაში...

ყოფა რამ გურიის ცხოვრებიდან

ჰაი ხანია გურიაში გამიჯვნილი კომისია შეუღვა მიწების გამიჯვნის საქმეს და ჯერ კიდევ ბევრ ხანს ვატანს, სანამ სულ მორჩებოდეს გამიჯვნას. სწორეთ „ბენდიერია“ ის პირი, რომელიც უკვე მორჩა მიწების გამიჯვნის დავი-დარბას და შეუღვა „დამშვიდებულ“ ცხოვრებას. მაგრამ, ვისიც მიწა ჯერ კიდევ გამოიჯნავია, ან ახალი გამიჯნული, — მისი გულის ტოკვა აღვილათ და ჩქარა არ შეჩერდება, მისი მაჯის ცემა სხვანაირი იქნება ვიდრე ნანატრი მყუდროება ეღირსებოდეს. ეს ყველამ იცის, რომ სოფლის ცხოვრებაში მიწა თითქმის ერთათ ერთი ცხოვრების საღსარია, და თუ გლენი ფიქრობს, რომ მის, ათას გვარ წვითა და დავით შექმნილ, ერთ თუ ორ ნაქერ მიწას დღეს თუ ხვალ სულ ან ნახევარს მაინც, წაართმევენ, ან ხელობ-




ლა აყადინებენ, რა გასაკვირველია, რომ ის წუხ-
დეს და დრტოლდეს! და აი სწორეთ მიწების გამი-
ჯენა ასეთი ხიფათებით არის გარემოცული.

გურიაში დღეს ეგრეთ წოდებულ „ვალდე-
ბულ“ გლეხს ძლიერ იშვიათათ შეხედებით, აქ
ყველა „თავდახსნილია“, ანუ ყოველ გლეხს
გამოსყიდული აქვს ზავის წინანდელ მებატონეს-
გან ერთი თუ რამდენიმე ნაქერი მიწა. უმრავ-
ლესობას გლეხებისას რაგიანი საბუთი აქვთ მი-
წების გამოყიდვისა (Выкупной договоръ) ზოგს
კი სულ არავითარი საბუთი არა აქვს, ან და აქვს
რადაც უბრალო ქალღი ნოტარიუსის დაუმოწ-
მებელი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ზოგი წინან-
დელი მებატონე ყველას დავას აყოლებს, სულ
ერთია აქვს გლეხს რაიმე საბუთი თუ არა. ვისაც
რაგიანი საბუთები აქვთ, იმათ დავას უტეხს მეორე
„მებატონე“, სახლიკაცი, მეგვარე პირველისა. მა-
გალითათ, თქვენ მიწა მოგყიდათ ივანემ და ამის
რაგიანი საბუთიცა გაქვთ, მაგრამ ამავე დროს
დავას გიტეხს პეტრე, მეგვარე ივანესი, და ამბობს,
რომ ივანეს ჩემი ადგილები მოუყიდნია თქვენთ-
ვის, რადგანაც ჩვენ ჯერ, მეგვარეებს, ერთმანეთ
შორის არა გვაქვს გაყოფილი ადგილებით. ვისაც
რაგიანი საბუთი არა აქვს ან სულ არაფერი, იმას
ზომ უარესი ემართება. ამ სტრიქონების დამწერი გა-
ხლდათ მოწამე მრავალი ამ გვარი ფაქტებისა: მაგალი-
თათ, კომისია მივიდა რომელსამე გლეხის მიწაზე და
უნდა გამიჯნოს; იქვე გაჩნდნენ რამდენიმე მებატო-
ნენი, ან მათი წარმომადგენელნი ვეჭილნი. კომი-
სია თხოულობს საზღვრების ჩვენებას, ამ დროს
ერთი მებატონე დავას აცხადებს (ანუ, როგორც
აქეთ შემოიღეს „შპორავს“) მესამედ ნაწილზე,
მეორეამბობს ნახევარი ჩემიაო და მესამე და მეოთხე
სულ ისაკუთრებენ, მათი აზრით. ასე რომ არამც თუ
გლეხს რჩება რამ მისი ნაყიდი მიწიდან, არამედ
თვით „დამშპორველთაც“ კი არ ყოფნით გასაყოფათ.
ყველა „დამშპორველთა“ სახელი და გვარი იწე-
რება ოქმებში, რომელნიც შემდეგ გამმიჯვნელმა
სასამართლომ უნდა განიხილოს. ამ გვარ არეულო-
ბაში გლეხმა არ იცის, რომელი ერთი „მოირიგოს“,
მოიყიდოს და იძულებული ხდება (რადგან უმ-
რავლესობამ არ იცის თუ რა ბოლო მოჰყვება ამ
გვარ „დამშპორვას“) ერთი მოიყიდოს და მეორეც,
რაც ნიშნავს მის ხელმეორეთ და მესამეთ ტყავის
გაძრობას... კიდევ „ბედი“, რომ დავის ამტეხნი
ცოტა რასმეს სჯერდებიან (ალბათ იმიტომ რომ თი-
თონაც არ არიან დარწმუნებულნი კარგათ, თუ რა
გამოუვათ დავის ატეხით) და დავას იქვე
სპობენ, თუ კი გლეხმა მოიყიდა ანუ, როგორც
აქ ეძახიან, „მოირიგა“ და მისცა თითოეულს

3—5—10 მანეთამდის, რაც ისედაც საკმაო ფულს
შეადგენს. არიან ისეთი გლეხებიც, (თუმცა
მათი რიცხვი ცოტაა) რომელნიც დარწმუნებულნი
არიან, რომ ამ გვარ „დამშპორვით“ არაფერი გა-
მოუვათ დავის ამტეხთ და უარს აცხადებენ იმათ
„მოირიგებაზე“. აი ერთი ამის მაგალითიც: ერთი
მემამულის ვეჭილი, ვილაც ჩ—ლი, გაიწვევს ერთ
გლეხს როცა ამ უკანასკნელის მიწის გამიჯვნას
შეუდგენ და ეუბნება მას: „ბეჟუკი, შენ რას
მომცემ, რომ დავა არ აგაყოლო? — „რაში უნდა
მოგცე რამე? ერთხელ მიყიდა და გათავ-
და—თუ არ არის ჩემი—შენ მოგცემენ, და
თუ ჩემია—მე დამიტოვებენ.“ — „არ მომცემ და და-
გიშპორავ!“ განაგრძობს ჩ—ლი. — „ვია, წაიხდი,
შენ ყველაყას დაუშპორე შენ, რა მაქვს შენი სადაო,
შენ წამხდაროვო,“ დაუმატებს ბეჟუკი. — „ერთი
მანეთი მაინც მომეცი, კაცო!“ — „ერთ კეპიკსაც
ვერ იხილავ ჩემგან მამა-ჩემი, გიორგის, სული არ
წამიწყდესო“ და მოშორდა ვეჭილს ბეჟუკი. გა-
ცხარებული ვეჭილი აწერინებს ოქმში, რომ ბეჟუ-
კის მიწა ნახევარი ჩემიაო. შემდეგ ბევრმა უსაყვე-
ლურა ბეჟუკის, რომ მანეთი კი არა, კაცო, თუ-
მანი უნდა მიგეცა, თუ კი თავს განებებდაო, მაგ-
რამ ბეჟუკი გაიძახოდა: „დედავ, თუმანი გოგისა
მიეცი, თუმანი პაატას, თუმანი კიდევ „სხეას“
და მაინც არ გეცოდინება შენი მიწა „შენია“, თუ
კიდევ „სხვისია“. „კანონი რასაც მიზამს, მიქნა-
სო“. მაგრამ უმრავლესობა ბეჟუკის აზრის არ არის
და კიდევაც იყვლიფებიან და ამიტომაცაა, რომ
ამ გარემოებამ ძლიერ დააღონა სოფლები...

ცოტა რამ მამასახლისების შესახებაც უნდა მოგა-
ხსენოთ. მამასახლისების კიცხვა ხშირათ წამიკი-
თხავს გაზეთში, ხოლო ქება კი იშვიათათ, ალბათ
მამასახლისობა საზოგადოებისათვის გვარიანი დიდი
ტვირთი ყოფილა. ასეთ მამასახლისთა გუნდს არ
ეკუთვნის სოფ. ერკეთის მამასახლისი ბ. ვ. ქინქა-
რადე, რომელიც შარშან იქმნა არჩეული. მართა-
ლია ბ-ნ ქინქარადეს უმაღლესი და არც საშუალო
სასწავლებელი არ გაუთავებია, მაგრამ ეს გარემოე-
ბა სრულიადაც არ უშლის მას, რომ ის ფრიად
სასარგებლო კაცი იყოს საზოგადოებისათვის. მას,
როგორც ამ საზოგადოების შეილს, ზედმიწევნით
ცოდნია, რომ ერკეთის საზოგადოებას ყველაზე
უფრო ესაჭიროება გზები და მიუხედავათ იმისა,
რომ ეს საზოგადოება მთა-გორიანია შვენიერი
გზები გაჰყავს იქ, საცა წინეთ „ჩიტიც ვერ გა-
ფრინდებოდა“. მის მრავალი თხოვნისთვის
მთავრობას მიუქცევია ყურადღება და მიუცია თო-
ფის წამალი, წალკატები და სხვა იარაღები, რი-
თაც ანგრევენ კლდეებს, საცა კი საჭიროება თხოუ-



ლობს. ბ-ნ კინჯარაძეს მაულია აგრეთვე მონაწილეობა სამღვდლოების შესანახავ ბეგარის, ვგრეთ-წოდებული „დრამის“ ფულის შეკრების გაწესრიგებაში. მისი დაკვირვებით აღმოჩენილა, რომ რამდენსამე სამრევლოში თურმე „დრამის ფული“ მღვდლების სასარგებლოთ მეტი გროვდება, ვიდრე კანონით შესაძლებელია: მაგალითათ, ორი ღარი-ბი მოსახლე გადასახადში ერთათ არიან შეწერილნი, ე. ი. ერთ კომლათ, და გადასახადიც ორივემ ერთი კომლის უნდა იხადოს. დღემდის კი, როგორც აღმოჩნდა, ცალ-ცალკე ახდევინებდენ, რაც, რა თქმა უნდა, უკანონობაა. მამასახლისის გაწესრიგებით დღეს თითოეულ პატარა მრევლს 40 მანათზე მეტი უკანონო გადასახადი მოუკლია წლიურათ. ამ გარემოებას, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოუწვევი ადგილობრივი სამღვდლოების უკმაყოფილება და საჩივარი, მაგრამ კინჯარაძე გაუმართლებიათ. მიუქცევია აგრეთვე ბ-ნ კინჯარაძეს ყურადღება იმ გარემოებისთვის, რომ არსებული ჩვეულება საზოგადოებაში მიცვალებულის დამარხვის დროს, ვგრეთ წოდებული „ტირილი ზარით“ და წვეულებით, რომელიც ჩვეულებრივ დიდხარჯს იწვევს, შეცვლილ იქმნას იმ გვარი წესით, რომელიც ნაკლებ ხარჯს მოითხოვს მიცვალებულის პატრონისაგან; ამისდა მიხედვით შეუდგენია განაჩენი, მოუწერინებია მანზე ხელი საზოგადოების უმრავლესობისთვის და დაუმტკიცებია კიდევ ერთი სიტყვით, მიუხედავათ იმისა, რომ კინჯარაძე ჯერ ერთი წელიწადიც კი არ არის, რაც მამასახლისათ აურჩევიათ (აირჩიეს ნოემბერში 1899 წ.) მას ბევრი სასარგებლო საქმეები გაუკეთებია საზოგადოებისთვის, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია. იმედია ამ გვარ მიმართულებას ბ-ნი კინჯარაძე არ გამოცვლის და განაგრძობს საზოგადოების სასარგებლოთ მუშაობას, რითაც, რა თქმა უნდა, დიდ პატივისცემას დაიმსახურებს საზოგადოებისაგან.

სარდიონ მამალაძე.

საპარლამენტო არჩევნებში ინგლისში

(წერილი ლონდონიდან)

მედოფალი ვიკტორიას მეფობის განმავლობაში 14 სხვა-და-სხვა პარლამენტი შემდგარა. 7 ლიბერალების უმეტესობით; 4 ვიგების და 3—კონსერვატორების უმეტესობით. 1895 წლიდან დღემდე პარლამენტში კონსერვატორ— უნიონისტების

ძალა სჭარბობდა. ახალი (მე-XV) პარლამენტი უნიონისტების იქნება ჯერ არ ითქმის თუმცა კი დღევანდელი გაზეთები გვაუწყებენ, რომ აირჩიეს 59 კონსერვ.— უნიონისტები, 7 ლიბერალი და 2 რადიკალიო. სულ პარლამენტში 670 დეპუტატია.

რა თქმა უნდა, პარლამენტის დაშლისათანავე მოედვენ ორატორები ქვეყანას. ერთიც და მეორეც იძლევა გაკეთებულის შესახებ ანგარიშს, არკვევს ახალ სამოქმედო პროგრამას და თხოვს თავის ამრჩევლებს კიდევ გამოიმცხადეთ ნდობა, რომ თქვენი და ქვეყნის ინტერესი პარლამენტში დავიცვაო. უფრო შესანიშნავია ბრძოლა კონსერვატორ— უნიონისტებსა და ლიბერალებ შორის, რადგანაც ამ ორ პარტიას უფრო მეტი პოლიტიკური ძალა აქვს და გავლენასაც ეს ორი პარტია პოულობს. ხალხს ორივე ბევრს პირდება, აღთქმას დებს თუ მე. იქ ვიქნები ბევრს რასმეს გაგიკეთებო. განსაკუთრებით სურთ მუშა ხალხის გულის მოგება. ზოგი მათ დაზღვევის შესახებ ლაპარაკობს, ზოგი სამუშაოს დროის შემცირებაზე, ზოგი სანიტარულათ სამუშაოების მოწყობაზე, და სხვა-და-სხვა. გიკვირს როცა ისმენ უკიდურეს კონსერვატორისაგან მუშების სასარგებლო სიტყვებს. თუ მან ის აასრულა რაც თქვა, ფიქრობ, სოციალისტი თუ არა რადიკალი მაინც დარჩებოა. მაგრამ ლიბერალებისაგან წარმოდგენილი საბუთები სულ წინააღმდეგ ლაღებენ კონსერვატორების შესახებ. მაგ 1896 აქტით პარლამენტმა ლანდლორდებს 20,000,000 მანეთზე მეტი შეძინა. ლიბერალებს კი სურდათ, რომ ეს ფული ფერმერების სასარგებლოთ ყოფილიყო. ეს მოხდებოდა მაშინ თუ ლანდლორდები არენდის ფულს არ აწევდენ, და საპარლამენტო აქტი ფერმერების სასარგებლოთ დარჩებოდა. ამაზე ლამბერტმა პარლამენტში თქვა: აქ გამოჩნდება მთავრობა ლანდლორდებს ეხმარება თუ ფერმერებსო. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მთავრობის რეაქციონერობა ლორდ-პამილტონის შემდეგ ფრაზაში გამოიხატა: „დავებმართ ჩვენს მეგობრებსო“. და კიდევაც დაეხმარენ, ამნაირათ, კონსერვატორები დაეხმარენ თავის მეგობრებს, ლიბერალებმა ფერმერების შესახებ დაიწყეს წუწუნის, ხოლო მუშების შესახებ კი ხმა არავის ამოუღია.

კონსერვატორთა მთავარი კითხვა ეხება სამხრეთ-აფრიკის (ტრანსვაალ-ორანჯეს) შემოერთებას და იქ ინგლისის მთავრობის მოწყობას. ამას უკავშირებენ სამხედრო რეფორმებს, რომელნიც უსა-

ქიროესათ მიაჩნიათ... სალისბიურის და სხვების ძახილი, რომ ჩვენ წინ დიდი კითხვაა დროთა ვითარების გამო წამოყენებულიო, არის კითხვა სამხედრო რეფორმების შესახებ.

ლიბერალები კონსერვატორების უკანასკნელ მთავრობას საბუთიანათ ჰკიცხავენ. მათი ბელადნი ბანერმანი, ჰარკორტი და სხ. ამრჩევლებს ასეთ კითხვებს უყენებენ გადასაქრელათ: ჩვენი საგარეო პოლიტიკა უნდა იყოს გარეშეების მიმართ მეგობრული თუ განხეთქილების გამომწვევი; ჩვენი სახელმწიფო უნდა იყოს ვაჭრობისა და მშვიდობიანობის სახელმწიფო თუ სამხედრო და თავს-დამსხმელი; უნდა ვიმუშაოთ ნამდვილ თუ სასირცხო რეფორმებისათვის; საყოველთაოთ კარგი მდგომარეობა უნდა სუფევდეს თუ იგი უნდა იყოს მარტო ბედში მყოფ კლასებისათვის? და სხ. წარსულიდან მოკავთ კონსერვატორების წინააღმდეგ ბევრი მაგალითები შესახებ იმისა თუ როგორ ცუდათ უწარმოებიათ საქმე. უთითებენ უსაფუძვლო ომებზე და პოლიტიკაში განხეთქილებებზე, რითაც იმპერიის სახელი დამცირდაო. როცა გლადსტონი იყო პირველ მინისტრათ, სულთანს ინგლისის ეშინოდა, მაგრამ, რაც უნიონისტების მთავრობა არსებობს, სულთანნი პატივს აღარ სცემს ინგლისსო, ამიტომ ასე ცუდათ დაბოლოვდა ბერძნებისა და სომხების კითხვაო. ლიბერალები ეწინააღმდეგებიან სამხედრო რეფორმებს; სურთ ირლანდიისათვის ჰომ — რულის მინიჭება. თვით ირლანდიის ნაციონალური ლიგა კი ამას უმატებს, რომ დაწესებულ იქმნას სავალდებულოთ მიწების გაყიდვა. — შეძენა. (სხვანაირათ მოუხერხებელია ლანდლორდების ხელიდან მიწების გამოტყავება).

მუშების პარტიას (იგულისხმეთ ტრედ-უნიონისტებიც) ჯერ ორი კანდიდატი ჰყავს: გიორგი ლანსბური და ტკორნი. ამათი საპარლამენტო პროგრამმა შემდეგში გამოიხატება: ნწ წლიდან მოხუცთათვის საზოგადო პენსია; უმუშევრათ დარჩენილთათვის სამუშაოს მოპოება; ვაჭირვებაში მყოფ ბავშვთათვის საზოგადო წესიერი დახმარება; რკინის გზების და მიწების საერო ქონებათ გარდაქმნა; მონობოლიებზე საზოგადოებისაგან განწესებული კანტროლი და სხ. ესენი ამბობენ: წელიწადში ლონდონში 18,000 სული მიადწევს ნწ წლამდის. თითოეულს კვირაში, რომ 8 შილინგი მიეცეს, ეს 3,060,000 სტერლინგს შეადგენს.

საზოგადოთ კრებები მეტათ საინტერესოა. თავისუფლათ მიდის დანიშნულ ადგილას დიდი და პატარა, ქალი და კაცი; ამბობს რაც აქვს სათქმე-

ლი; ერთს ტაშს უკრავს, მეორეს იწუნებს. სინამდის ორატორები სიტყვის წარმოთქმას შეუდგებოდენ, მანამდის ხალხი ფორტოპიანოს კვრით შეექცევა. თან ხან-და-ხან მთელი კრება მუსიკას ხმას ააყოლებს; ასეთ ადგილებზე უფრო ხშირათ პატრიოტულ სიმღერებს მღერაინ. ერთი სიტყვით, აქაურ კრებებს დიდი ხალხი და ინტერესი აქვს.

ლიბერალებმა და დემოკრატებმა ჩემბერლენის კერძო საქმეები გამოააშკარავეს, რომელსაც საზოგადო ხასიათი დაურჩა. ერთი მწარმოებელი კამპანია სახელწოდებული „ჰოსკინის კამპანიათ“ მთლათ ჩემბერლენის ოჯახს ეკუთვნის. ეგ არაფერი, რომ საქმე ამით თავდებოდეს. საქმე იმაშია, რომ ამ კამპანიას ბრიტანიის მთავრობასთან აქვს პირობა შეკრული, რომ სანავოსნო და საომარი იარაღები ან მასალები იმისაგან უნდა მიიღოს. სახელი სხვისი არის, მაგრამ აქციები ჩემბერლენის ცოლს, ვაჟებს, ქალებს და თვირონ მას აუღიათ. ხოლო ჰოსკინს თავისთვის მხოლოთ 8წ აქცია დაუტოვებია, მაგრამ ეგვე ჩემბერლენის ქალი-შვილს შეუძენია: ამას შემდეგ რჩება სახელი ჰოსკინი, მაგრამ სახრადი და საქმის მართვა კი ჩემბერლენების ხელშია. ამ კამპანიის გარეშე, ოთხ სხვა დიდ კამპანიაში უდევთ ჩემბერლენებს დიდი წილი. ამიტომ პროგრესიული გაზეთები კითხულობენ, განა დიდბრიტანიას მეკანტრახტეები უნდა განაგებდენო?! სალისბური, ბალფური და სხვა მათი ამხანაგნიც დიდი მემამულეებია, მაგრამ ჯერ მათ შესახებ ჩემბერლენისებური არაფერი ისმის. სხვა შემდეგ.

ი. კაკაბაძე.

ქუჩის მეკელი.

მე ჰატარა კაცი ვარ; ძლიერ ჰატარა; ისეთი უმნიშვნელ ფინშე ვარ, რომ ამ უზარმაზარ ქალაქში ვერც კი ვერაფერ მიცნობს გარდა ჩემი ცოცხისა. მიუვარს მე ჩემი ცოცხი, თუმცა ხშირათ ვიცვლი მას; გაცვდება ერთი და შევეცანაჲ მეორეს. მეც, ხომ გაცვდება?! დიას, ხშირათ ცვდება ჩემი ცოცხი; მეც, შევატუბ თუ არა დაჯატს, სხლის საძებრათ მივდივარ; მეც გავცვდები, ხოლო ჩემ მადგილის ძებნას არაფერ დაიწეებს; თითონ მოვლენ ერთის მაგიერ ათი ჩემისთანა ჰატარა კაცები და სამკვდრო სასიცოცხლოთ ერთმანეთს შეეცილებიან; ერთი უფრო ბედნიერი გამოდგება, ჩემ ადგილს დაიჭერს და გულში იმედი გაეფიქება. ასე მოხდა ჩემ ამ ადგილზე განწესების დროსაც; ჩვენ ხუთნი ვიყავით, ადგილი კი ერთი იყო. ქუჩის გვის დროს ეტლს გა-

ტანა ჩემი წინა მოადგილე. ყველაზე ადრე მე მივედი უფროსთან და ქულ-მონდილი სცნოდავით დავედრეოქე; თქმით კი არა მითქვამს რა,—ენა დამება. ვნახოთო, მითხრა. მოვიდენ დანარჩენებიც. ორი კოჭლი იყო, ერთი კუზიანი და ერთიც ძალზე მოხუცებული. ჩვენ მტრულათ ავხედ-დავხედეთ ერთმანეთს. კუზიანი გამომეფლანარაკა; არ მიჩვენდა აქ დადგომას—სხვაგანაც იშოვი ადგილსო; ცდილობდა ერთი მეტოქით ნაკლები ჭეფობდა. მე შეწყინა და მოვშორდი; მერე მოხუცი მომინდოვდა, გამარჯვება მითხრა და იქვე ჩემ გვერდით ქვანე კვინსით ჩამოჯდა. „ძალიან მიჭირს, ძმაო,—დაწყობ ბებერმა,—ავათმოფთვი ცელი სხლში მიწვეს; გასათხვარი ქალი შიშველ-ტიტველი ქუჩა-ქუჩა დატანტალებს, ვერას შოულობს, მე უსაქმით ვარ, სულს გარემო ანათერი არა გვაბადიარა.“ როგორც ჩანდა საშიშ მეტოქეთ მივანხდი ყველას, და აი მოხუციც შეეცადა სიბრალული გამოქვივა ჩემში, რომ ადგილი დამეთმო. მე გასალ-კლდევიდი, გაგაკუდი. რა მექნა? მეც ხომ ვშიოდა?! ამ დროს უფროსიც გამობრძანდა, ჩაგვამწკრივა, გაგვატარ-გამოგვატარა, ვაჭრული თვალთ აგვწონ-დაგვწონა და ჩემზე თითი მოიშვირა—შენ ივარგებო, მითხრა. კარგი დღე იყო ის დღე ჩემთვის!.. ეჭ! გაჭკა, ჩემო ცოცხლო! სანამ კლავი მერჩის, გაგავაფთო ქუჩა!..

მე ზატარა კაცი ვარ; სულ ერთი ბეწო. ჩემი ხელობა მეტათ მარტოვია: ირანურაყებს თუ არა, ხელში ცოცხლს ვიმარჯვებ და ქუჩას თავიდან დავეუბი. ფხიილ ფხილ! მივარგებო გუნდას გუნდაზე. გავიტან ერთ მხარეს და ახლა ქუჩას მეორე მხარეზე მოვქექტევი და დავეუბი თავდაღმა. გახურებული ვტრიალებ მტვრის კორიანტელში და აღმური ამდის, ოფლს მისხავს, მტვერა უმარდივით თეთრათ მედება, ზირში ხრამხრუში გააქვს. თითოეულ კენჭს გულდასმით შემოვუფლი, გვერდებს ამოვუწმენდ—ამოვუფხეკავ, ნაკავს აქა იქ დაგვაროვებ, დაგვი, ზატარადივით მოვალამაზებ ქუჩას, დავობჯენ ჩემ ცოცხუკელას და თავ-მომწონეთ ქუჩას თვალს გადავავლებ; მიამება. ან რა გასაკვირველია? ის ხომ ჩემი ნაჭირნახულ-ნაამაკევია. კარგა ხანს ვტებები ხოლმე ქუჩის ცქერით; სხვა გასართობი ჩემთვის არ არსებობს; სხვა ვერარა სურათი ვერ მიმიზიდავს, ვერ გამოიტაცებს კარდა სუფთა ქუჩისა. ან კი არის ნეტა რამე დაგვილ ქუჩაზე ულამაზესი?! მერე დადლილ-დაქანტული გზის ბოლოში მივჯდები და ხმელ ზურს ღოდნას დავუწეებ. შუადღისას კიდევ დავუფლი ქუჩას თავიდან, კიდევ მტვერში ვიგანგლები; მზის გადახრისას ჩემი საქმე კიდევ ისევ ეს არის. დაღამდება და საღამო ქუჩის შესახვევში ცოცხლს თავ ქვეშ მივიდებ და დასაძინებლათ მივწევი. წამწამს წამწამში გავუერი, ბურანში შევალ, ჩამეძინება. სიზმარში ქუჩას ვხედავ, სუფთა, ღამაზ ქუჩას; ვხარობ, კმაყოფილი ვარ. გავიდვიძებ, და ჩემი

ოფლით მორწყული ქუჩა მონაკული დამხვდება. მიამება, საქმე მაქვს დღესაც. ქუჩა მარჩენს მე, მასწორდებს. მიუვარს მე ქუჩა! მიუვარს მისი ნაკავი! მე უუვარვარ კი ვისმეს? ეჭ! გაჭკა, ჩემო ცოცხლო! სანამ კლავი მერჩის, გაგავაფთო ქუჩა!..

მე ზატარა კაცი ვარ; ერთი ნამცეტა. თფილისში ვცხობრობ და თფილისს არ ვიცნობ. დრო მაქვს განა მის გასაცნობათ? დღე მუდამ ჩემ ქუჩასთან მაქვს საქმე. ამ ქუჩისა კი კარგიც ვიცი და ავიცი; აქ თითოეულ კენჭსაც კი კარგათ ვიცნობ, ისიც კი ვიცი, თუ გაიძვერა მოიჯანდადრეს ქვიშის მაგიერ მიწა სად შეუხარება. სახუმარა! ათი წელიწადია ამ ქუჩას თავს დავტრიალებ; განა ცოტა ოფლი დამიდგრია და ცოტა მტვერი მიუღავა?!. ამ ქუჩის იქით კი ჩემთვის ყველა უცნობია, საიდუმლოებით არის მოცული. თფილისი ჩემი ქუჩას. ჩემი თვალთა ხედვის ისარი იმას იქით ვერ გაცდება. ის კი ვიცი, რომ სხვა ქუჩებიც არსებობს, მაგრამ რას დავდეგ მათ არსებობას! რა მაქვს მათთან საერთო? ისიც ვიცი, რომ იმ ქუჩებს ისეთივე დაგვა დაწმენდა სჭირდება ხოლმე, როგორც ჩემსას; იქაც ჩემსავით ზატარა კაცი ოფლს ღვრიან და მტვერს ჭეფავვენ. დმერთმა ხელი მოუმართოთ. ჩემ ქუჩაზე მუდამ ხმაურობას; მთელ დღეს საშინელი მიხლა-მოხლას. ყველა სადღაც მიიჩქარის, მიეშურება, სად? რისთვის? არ მომსვლია თავში ეს კითხვა, ან რას დავდეგ? ალბათ იმათაც ეჭნებათ რამე ჩემი ცოცხისებური, ჩემი ქუჩის მსგავსი, რაც მათ ზურს აჭმევს. ჩემი მისწრაფება—სურვილი თავის გამოსაკვებათ ორიოდ გროშის ადება. ამასვე ელტვის ალბათ ეს მიღეთის ხალხი, რომელიც ჩემ ქუჩაზე ირევა. ეჭ! გაჭკა, ჩემო ცოცხლო! სანამ მკლავი მერჩის, გაგავაფთო ქუჩა!

ნატო.

სადაღიშეკლიანო სუანეთის ამბები

(დასასრული)*

მოქონა ზოგიერთ ბატონს ახალგაზდა გლეხი,—გათავდა, მიჭეავს ის თავის სასახლეში და ამუშავებს, არაფერს არ აძლეეს შრომის ფასს, არა თუ შრომის ფასს, არამედ ტანისამოსსაც კი არ აცმევს და ამ უკანასკნელით გლეხს თავისი ოჯახიდან უნდა ისარგებლოს. ასეთ მუშათა რიცხვი ერთ სასახლეში ორმოც-ორმოცდათამდის აღის. ასეთ მდგომარეობაში ჩაყენებული გლეხი იძულებული ხდება ან მოშორდეს თავის არე-მარეს, გააცივოს კერა და გადასახლდეს სხვაგან, ან და ისევ ბატონის ფეხ-ქვეშ დაეცეს და თავისი ნებისთი თუ უნებლიეთი შეცოდებანი გამოისიყდოს ნივთიერი მსხვერპლით. ზირველი საშუალება თუმცა ძირითადია, მაგრამ აქაური გლეხისთვის ძნელათ

* იხ. „კვლი“ № 40.

განსახორციელებულია; ამიტომ უფრო მეტი ადგილი აქვს მეორე საშუალებას, შერიგებას. მაგრამ გლეხის ნივთიერი მდგომარეობისათვის ეს საშუალებაც მეტის მეტად სავარაუდოა. ასეთი მსხვერპლი მითხროვს გლეხისაგან რამდენიმე ძროხას, ხარს ან ცხენს და თან ერთ სამახსოვრო ქელესს. ყოველივე ეს წელში წვევტს გლეხს, მაგრამ რა ჰქნას, ხვდა გზა არ აქვს. და აი, ასეთ დრო გასული და დაჟამანებული ზნე-ჩვეულებებით მთლათ გაუქნითლია სადაღმკველიანო სვანეთის ცხოვრება. აქ ისეთი ცრუ-მორწმუნებანი და ჩვეულებანი დაცულან, რომელთაც დღეს ამერიკის ველურ ხალხთა შორის ეძიებენ მეცნიერნი. თუმცა ასეთ ჩვეულებათ, ეტნოგრაფიულ-ისტორიულ მნიშვნელობის გარდა, ცხოვრებაში საფუძველი არ მოეპოვებთ და მათი ეკონომიური ნიადაგიც შეირყა, მაგრამ ასეთ ჩვეულებათ ისეთი ძლიერი დამცველი და ავტორიტეტი ჰყავს, რომლის სიტყვაც კი ცხოვრების ბორბალს შეაჩერებს სვანების შეხედულებით. ბევრ შემთხვევათა შორის დავასხელებ ერთ შემთხვევას. ერთ საზოგადოებაში ადრეულ იყო ღაზარაკი ეგრეთ წოდებული „ნაჭვლაშის“ მოსზობის შესახებ. თვით ხვანები დარწმუნდნენ, რომ „ნაჭვლაში“¹⁾ ქალის დამამტირებელი და უსულყო ნივთთან შემადარებელი ჩვეულებაა და მოინდომეს მისი მოსზობა. მაგრამ, რადცა მოსაზრებით, გლეხების ასეთ ყოვლად ზატოხან და სსახელო განზრახვას გადაეღობა ერთი მებატონე და „ნაჭვლაშის“ მოსზობის საქმეც ჩაქრა უკვლოთ და უნაყოფოთ. ეს ფაქტი საკულისხმიერა აგრეთვე იმ მხრითაც, რომ ის ნათლათ გვაჩვენებს გლეხის დამოკიდებულებას ისეთ ოჯახურ საქმეში, როგორც ქალის გათხოვება და მისი ბედის გადაწყვეტა; ამ გვართ, გლეხი თავის ოჯახში-დაც ვეღარ უფროსობს, ის აქც მონაა. ქალის და ვაჟის ერთმანეთთან შეუღლების სურვილი ვერაფერს ვერ შიასწავებს, თუ მათი სურვილი მებატონის სურვილისაგან არ მომდინარეობს და მისგან ნება დაურთველია; მებატონის ნება, როგორც სიუფარულს, — ისე სიძულვილსაც ბადებს; ზოგს ძალათ აუვარებს და ზოგს ძალათ აძულებს. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ „მკლავაძებური“ რაინდობა აქ ჩვეულებრივი მოვლენაა.

აი, ის ზირობები, რომლებშიც ცხოვრობს მრავალი საბატონო სვანეთის გლეხი. ჩვენს ქვეყანაში მრავალი მოკლე, საზოგადო სურათი, წლებში უმწვერვალეს წერტილამდისაც აღწევს. საქმე იმაშია, რომ დროთა ბრუნვა დაცვალებადობა სვანეთსაც სწვდა და თავისი დიდი დასავა. წინანდელი შედარებით სადა და მარტივი ცხოვრება უფრო კართულდა; მებატონესაც და გლეხსაც შესაფერათ ახალ-ახალი მითხროვნილებანი გაუჩნდნენ. ახალ მითხროვნილებათ შემოსავლის

ახალი წყარო ესტორებათ დასაკმაყოფილებლათ. უნდა გამოძიებინოს ახალი წყარო მებატონემ? — გარდა თავისსავე ნაყუვი გლეხისაგან: ამას იქით განძრევას არ შეუძლია. საუკუნოების განმავლობაში განებივრებული და სხვისი ხელის შემხვედრეს, დღეს არ ძალ უძს ხელი და ტვინი გაანძრეოს. ამ შემთხვევაში ის იგანებს ახალს, ჯერ არ ანსებულ გადასახადებს, არდგენს ნუსხას და აძლეგს მოურავებს სახელმძღვანელოთ. გადასახადების ნუსხის შედგენა ადვილია, მაგრამ აკრე ადვილია კი მათი გადახდა? დიან ადვილი არ არის, საწყალი სვანი თავის ტყავიდან ძვრება, რუსების თქმულების არ იყო, რომ როგორმე გაუმკლავდეს ცხოვრებას და ზსუხი გასცეს მებატონის და თავის ოჯახის კართულებულ მითხროვნილებათ. სვანი, რომელსაც კი შრომა შეუძლია, სტუმარია თავის ოჯახში. წელიწადის სამ მეოთხედს ის მოკლებულია ოჯახის კერას: შემოდგომა — ზამთარში ის დასავლეთ საქართველოში მუშაობს ორიდელ გროშისთვის, ხოლო გაზაფხულზე კი ოსეთში. მიუხედავად ასეთი გამუდმებული შრომისა, ის მაინც ვერას აწვობს; ზირიქით უფრო სავარაუდოა დატაკება, ძალ-ღონე ელევა და სუსტდება, ისე რომ, თავის ყოფა მდგომარეობის გაუმჯობესობაზე არც კი იფიქრობს.

სვანეთი. მენა ფარელი.

წერილი რედაქციის მიმართ

ზაზ. „ივერიის“ მე-493 ნომერში მოთავსებულია წერილი ზატარძელიდან და უსამართლოთ იხსენიებს ერთობ მთელ გვარს ბილანიშვილებისას. ეს წერილი მოკლებულია ყოველსავე საფუძველს და გთხოვთ შემდეგი ზსუხი დამიბეჭდოთ.

რაც წიგნთ-საცავის სასარგებლოთ იფული იყო შეგროვილი ზ. ყუმიტაშვილს გადასცეს წიგნთ-საცავის კურთხევის დროს რადენიმეს გარდა, რომელიც გადაცემულია ერთ ემაწვილ კაცზე, სახელდობრ ბურთიკაშვილზე, სამკითხველსათვის შკაფის — საყიდლოთ და რადგან თვითონ ბურთიკაშვილი შორს არის მასწავლებლათ წასული, ყური ვერ უგლო, დროზევერ შემზადებია შკაფი. ამასობაში ზ. ყუმიტაშვილმა მიიღო გუბერნატორისაგან ნებართვა და მანვე იეიდა შკაფი 13 მან. აი ეს იფულია, რომელიც „მათს“ ჰგონია ბილანიშვილებმა შეჭამეს; ჩვენ კი არ შევჭამეთ, იფული იმ მასწავლებლისათვის არ მოგვიკითხავს. ის იფულს არ შეჭამს, და ისევ წიგნთ-საცავს მოჭხმარდება; თუ ვინმე ამ ბილანიშვილებში იფულის შემჭამი იცით, გთხოვთ დაასახელოთ. ბ. „მათე“ იწერება ბილანიშვილებს 78 წიგნი აქვთ გატანილი და გლეხებს 345. და იცინებთ რომ ბილანიშვილები ცოტას კითხულობენო. მაგრამ ავიწყლება რომ ბილანიშვილები სულ 15 კომლია და გლეხობა

1) „ნაჭვლაში“ სვანეთში ეწოდება იმ განსახორციელებულ საფასურს, რომელსაც სახიძო აუცილებლათ აძლეგს საცოლეს მოზობლებს ან ნათესავებს.

კი 600 ზე შეტეც. ან ვინ უნდა იკითხოს, როდესაც სწავლა მადებულები და მოსწავლეებთაგანი, თითქმის ანაფინ ცნობარებს სოფელში. წიგნთ-საცავს მართალია სოფლის მასწავლებელი ბ. ჯავახიშვილი განაცხადებს, მაგრამ არც ისე მშვენიერადაა როგორც მათეს შეუტევი და ან კი საიდან მოასწავლებს მშვენიერადაა განაცხადებს, როდესაც სამ საქმეს მოსწავლეები: სოფლის მასწავლებელი, სოფლის მწვერალი და წიგნთ-საცავის გამგებელი; უგელა ამის ასრულება შეუძლებელია ერთი ზირისაგან და ისიც „მშვენიერადაა“; მე თითონ დანამდვილებით ვიცი, რომ რამდენჯერმე შევირ-დები და სხუებიც დაუთხოვინა, დღეს არა მცადია, შინ წადით, სასოფლო საქმეებს ვწერო. ერთხელ ედირსა ბიბლიოთეკას გაღება და მაშინვე წავედი საკითხავათ, დაჯვრევი თუ არა — კაცი მოუვიდა გამგეს, კელიან, მასწავლებლო, დასაწერი აქეთა და იძულებულნი ვიყავით მაშინვე დავბრუნებულყავით. ბ. უმიტაშვილს სიმკითხ-ველს აშენებსე ორმოც თუმსამდე კი არა, როგორც თქვენ სარწმუნო წყაროდან შეგიტევიათ, ანამედ თხ-მოცხედაც შეტი აქვს დასარჯული; ეს შეგეძლოთ თი-თონ უმიტაშვილისაგან შეგეტეოთ. ან რა საჭიროა ეუ-მიტაშვილის ქება და ძაგება, ის ძალიან კარგათ იცნობს ბილანიშვილებსაც და თქვენც და ვგონებ ქება-ძაგებამ იმას თავბრუ არ დახვიოს.

ძლიერ გიკვირთ რომ უმიტაშვილმა ბილანიშვილების მოთავეობით და ჩაგონებით სიმკითხველო დაასრა? რა არის გასაკვირველი? განა უმიტაშვილისათვის რომ დმერთს შეძლება მიუცა, არ შეიძლება რომ ჩაუგონებრივ საქმე ვერ გააკეთონ! ამას შემდეგ გთხოვთ ბილანიშვილებს თავი დაანებოთ და ჭორობის გუდას თავი მოუკრათ. კარ-გია ბ. მათე თვითონ დასახელებდეს მიზეზს მისი ზე-ტარძეულში შესვლისას და მაშინ უგელა გაიგებს რატომ დახმდავს ის ბილანიშვილებს.

დასასრულ ისდა დამრჩენია ვინივლო, რომ ვაი ჩვე-ნი მკითხველების ბრალი, თუ მუდამ ასეთ მოჭორობულ ამბებს აწვდინა „ივერის“ რედაქციას. ბ. მათე ამბობს ხოლმე ხალხში „ერთი უძვირფასესი თანამშრომელი ვარ ივერისაო“ და მე რაც უნდა დავწერო სინარულით მი-ბეჭდავენო. თუ ის უძვირფასესია, ერთი მითხარით, მაგასე ნაკლებები ვინდა იქნება?

ბილანიშვილი

საქმელ-მომხმდომ საქმი

I.

ბ-ნო დედაქტორო! გვთხოვთ უმორჩილესათ, თქვენი პა-ტივეცემული გაზეთი „კვალის“ საშუალებით უდრმესი მადლო-ბა გამოუცხადოთ თომა ალექსის ძეს ტურივეის რომელმაც

კეთილ ინება და გამოუწერა ტიმარეცკის ქართველ მუშებს, თქვენი პატივეცემული გაზეთი „კვალი“.

მუშათა მონდობილობით ლაგრენტ დუმბაძე.

II.

კ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ თქვენი პატივეცემული გაზეთი „კვალის“ საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ ბ. იოსებ როსტ. ლეყავას რომელ-მაც შამოსწირა ჩემდამო რწმუნებულნი სამღთის სკოლის მოსწავლეების დასარიგებლათ და აგრეთვე სოფლებშიაც სადაც უფრო საჭირო იყო 270 ცალი სამღთო შინაარსის წიგნე-ბი, აგრეთვე მადლობის ღირსია სპირდონ ლოსაბერიძე. რომელმაც შამოსწირა ამავე სკოლას წიგნაკები 60 ცალი.

სამღთის სკოლის მასწავლებელი გერასიმე ნაკაიძე.

III.

კ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი გა-ზეთის „კვალის“ საშუალებით, უდრმესი მადლობა გამოუცხადოთ დროებით კიათურაში მცხოვრებს აზ. ირაკლი ივანეს-ძე ჯავახლს, რომელსაც ციხე-საყვევისტყის სამრევლო სკოლი-სათვის შამოსწირა ამ წლის საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“. ვისურვებთ, რომ ამისთანა გულშემატყვიარი ქველ-მომქმედი კიდევ აღმოჩენოდეს ჩემოსხენებულ სამრევლო სკოლას.

სამრევლო სკოლის მასწავლებელი ზაქარია ცინცაძე.

„კვალის“ ფოსტა

ზიათუხრაში. ბ. გ. ბერიძეს. შემდეგ ჩვენი მოწინავე წერილებისა, თქვენი წერილის დაბეჭდვა შეტათ ჩავთვალეთ.

უცხოელის განხორება

„კვალის“ უკანასკნელი ნომრის მე-631 გვ. დაბეჭდი-ლია, „ეს პროექტი მოიწონა მრეწველთა პირველმა კრე-ბამ“. უნდა იყოს „ეს პროექტი მოიწონა მრეწველთა მეორე კრებამ“.

თფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მისი თანადანწრე-ბით 1900 წელს 6 ოქტომბერს შუა დღის 12 საათსე დანიშნულია ვაჭრობა იჯარით გასაცემათ მდ. მტკვრის (მუნჩანის ქუჩიდან რიუესე გასავლელი) ზარომისა. ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლია ეოველნარი ზირობების გაშინჯვა ქალაქის სამმართველოს მეოთხე განყოფილებაში დი-ლის 9 საათიდან ნაშუადღევს 3 საათამდე, ეოველ დღე კარდა კვირა-უქმეებისა.

(3-3)

რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.